№ 2903
ოთხშაბათი,
7 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2903
ოთხშაბათი,
7 სექტემბერი

ბიბლიოთეკა

ფასი ნომრის: ტფილისში—3კ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ზღადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა და შვილები მისი ნინა, ანნა, ალექსანდრე, მიხეილ და ირაკლი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ **გარდაიცვალა** პირველის დაუვიწყარი მეუღლე და დანარჩენების მამა, რკინის გზის ეკკლესიის მღვდელი

მ. იროდიონ ნანობაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის სახლში: მიხეილის პროსპექტი № 199/a. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

მისის იმპერატორობითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება **სომხურ, ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—16) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამისზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იმ გაჭირვების დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—97)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკისა და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სადინაშვილისა № 15.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ. 30—4)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—14).

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—5.—33)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—24)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—6)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—3)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—13)

სასტამბოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

საერობო დებულების პროექტი.

ქვემოდ ვბეჭდავთ საერობო დებულების ახალს პროექტს, რომელიც შეადგინა ტფილისის ქართველ ინტელიგენციის ერთმა წრემ.

მკითხველი დაინახავს, რომ ეს პროექტი, როგორც ქუთაისის ინტელიგენციისა, აკმაყოფილებს თანამედროვე დემოკრატიულ მოთხოვნილებას ადგილობრივ თვით-მმართველობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობა ისე გაიზარდა, ჩვენი გლეხი და მუშა იმდენად მომწიფდნენ მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის, რომ შეუძლებელია ახლა საქართველოში მაღალ-ცენზიანი ან წოდებრივი ერობა შემოიღონ. ამას თვით მთავრობა გრძნობს და ამიტომ არა თუ უარ-ჰყოფს აწ არსებულ შიდა რუსეთის ერობას ჩვენთვის, 1864 წლის დებულების შესწორების საჭიროებასაც კი აღიარებს ჩვენის ქვეყნისათვის. ეს შევსება-შესწორებანი უნდა ითავონ სამაზრო და საგუბერნიო საერობო საბჭოებმა, რომელნიც ამ ჟამად მოქმედებენ და სწორედ ამ საბჭოებისათვის გამოდგება ყველა უკანასკნელ დროს დაბეჭდილი პროექტები—ციმბირისა, ქუთაისისა და ტფილისისა.

სამივე პროექტები ძალიან წააგავან ერთმანეთს და დემოკრატიულს საფუძვლებზე არიან აგებულნი. საარჩევნო უფლებას სამივე პროექტი აკუთვნებს ყველას განურჩევლად წოდებისა, სქესისა და სოციალურ მდგომარეობისა; მთავრობის კონტროლი სამსავე პროექტს ფრიად შემცირებული აქვს; გადასახადთა სისტემით აღიარებული შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი და, ბოლოს, ერობის სამოქმედო ასპარეზი ფრიად ფართოდაა შემოფარგლული, ისე რომ უკანასკნელს საერობო ერთეულს (სათემო ერობას) კანონმდებლობითი უფლებაც აქვს მინიჭებული.

ჩვენ თვითონ ტფილისის პროექტს ვაძლევთ უპირატესობას და აი რატომ: ყველა მთავარი პრინციპი (საარჩევნო უფლება, კომპეტენცია, ბიუჯეტი, ერობის უფლება) სამსავე პროექტს თითქმის ერთნაირად აქვთ შემუშავებული, ხოლო ტფილისის პროექტში, ამის გარდა, ნათლად და გარკვევითაა განმარტებული საერობო ერთეულების წყობილება. მაშინ როდესაც ქუთაისისა და ციმბირის პროექტები მეტად ართულებენ საქმეს ოთხისა და ხუთის ერთეულების შექმნით, ტფილისის პროექტში მიღებულია უფრო ბუნებრივი და ჩვენის ქვეყნისათვის უფრო ხელსაყრელი განაწილება: სოფლის საზოგადოება, თემი და ოლქი. მცირე ერთეულს შეადგენს სოფლის საზოგადოება, შემდეგ რამდენისამე მცირე ერთეულიდან—შესდგება თემი, რომელსაც თითქმის შეეფერება აწინდელი ადმინისტრატიული განაწილება საქართველოსი, სახელდობრ—კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა; ამასთან თითოეული განიყოფება ნაწილებადაც, მაგალითად ქვემო-იმერეთი (ქუთ. მაზრა), ზემო იმერეთი (შორაპნის მაზრა) და სხვა. რაკი ჩვენი ქვეყანა თემებად განიყოფება, საჭირო აღარ არის შემდეგი წმინდა ადმინისტრატიული ერთეული—გუბერნია, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ არ იცოდა და რომლის არსებობა საჭირო არ არის ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებისათვის. ხოლო თემების გაერთიანებისა და ჩვენის ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვისათვის ტფ. პროექტი აუცილებელ საჭიროებად სახავს მთელის საქართველოს საერობო ერთეულის დაარსებას. შემდეგ, თუ ამიერ-კავკასიაში სხვა საოლქო ერობანიც (სომხებისა და თათრებისა) დაარსდა, მაშინ შესაძლებელი გახდება ამ ოლქების შეერთებაც... ჩვენის ფიქრით, ასეთი განაწილება ერთეულებისა უფრო შეეფერება ჩვენის ქვეყნის ინტერესებს და უფრო მარტივიც არის.

ყოველ შემთხვევაში საერობო საბჭოებს ნიმუშად ექნებათ თვალწინ რამდენიმე პროექტი და, უეჭველია, ეცდებიან რაც შეიძლება მეტი უფლება მოიპოვონ ჩვენის ერის თვითმმართველობისათვის. **გ.**

საერობო საბჭოების შესახებ.

ზოგიერთი ჯგუფები ქართველის ინტელიგენციისა საჭიროდ არა სცნობენ მხარი დაუჭირონ საერობო საბჭოებს და ზოგგან თვით ხალხზე ისეთი გავლენა იქონიეს მათ, რომ უარი აიქმევინეს საბჭოებში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვენ გვგონია, რომ ეს უარ-ყოფითი პოლიტიკა საღის გონიერების ნაყოფი არ არის და აი რატომ.

ერობა ისეთს საძირკველზეა აშენებული, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო ბიუროკრატიულს წეს-რიგთან. ერობის პრინციპი მოითხოვს, რომ ხალხმა თითონ განაგოს თავისი საქმეები, ბიუროკრატიული წეს-წყობილება, პირიქით, იმ პრინციპზეა დამყარებული, რომ ხალხი სრულიად გარიყულ იქმნას გამგებლობისაგან. ცხადია, ერობა და ბიუროკრატიული დაწესებულებანი ერთი მეორის გვერდით ვერ იხეირებენ, მათ შორის აუცილებლად უთანხმოება, წინააღმდეგობა და ბრძოლა უნდა გაჩნდეს. საბოლოო გამარჯვება ან ერთის, ან მეორისა მოასწავებს ან ეხლანდელ ბიუროკრატიულ წესების გამტკიცებას, ან ხალხის მმართველობის აზრის განხორციელებას. ბიუროკრატიამ მშვენივრად იცის, რომ ერობასთან იმას ვერასოდეს მტკიცე კავშირი ვერ ექნება, პირიქით მუდამ იმის საწინააღმდეგო ბრძოლაში უნდა იყოს, და ამიტომ ის ჯერ სრულიად წინააღმდეგია ხოლმე ერობის შემოღებაზე და შემდეგ, როდესაც საზოგადოებრივი განვითარება ერობას აუცილებლად ჰბადის, ის მთელის თავის ძალღონით სცდილობს ერობას ისეთი ორგანიზაცია, ისეთი მოწყობილობა მისცეს, რომ საერობო დაწესებულებანი ნაკლებს ძალას წარმოადგენდნენ და ადვილი დასაჩაგრავი იყვნენ; თუ საერობო დაწესებულებანი იმდენად ღონიერი და ძლიერი გამოდგნენ, რომ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა დაძლევა მოახერხეს, ამ შემთხვევაში ნაცვლად ბიუროკრატიულ მმართველობისა, გამეფდება პრინციპი ხალხის მმართველობისა, თვით ბიუროკრატია კი დაეცემა. თვითმმართველობა მარტოოდენ გამგებლობის ზოგიერთ მიზნის განსახორციელებელი საშუალება კი არ არის, ამბობს პროფესორი გრადოვსკი, არამედ ამასთანვე იგი საშუალებაა „სახელმწიფოს საერთო ტიპის შესაცვლელად თანახმად ახალის საჭიროებებისა“ და ამიტომ ბრძოლა ადგილობრივ თვით-მმართველობის ასეთის თუ ისეთის ორგანიზაციისათვის იმავე დროს არის ბრძოლა სახელმწიფო მმართველობის ფორმისთვისაო.

კავკასიის ადმინისტრაციამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ წელს არ შეიტყო პირველად, რომ ადგილობრივ საქმეების გამგებლობა გუბერნატორების გარდა სხვა დაწესებულებებსაც შეუძლიანთ, ადმინისტრაციამ, რა თქმა უნდა, წინადაც იცოდა, რომ საერობო თვითმმართველობის შემოღება ხალხის ინტერესებისათვის სასარგებლო იქნება და არა მავნებელი, მაგრამ ეგრედ წოდებულ „უმაღლესს მოსაზრებათა“ გამო დღემდე უხერხულად სცნობდა ამ რეფორმის გატარებას ცხოვრებაში. ეხლა კი, როცა ხალხმა თვითონ ამოიღო ხმა, როცა ხალხმა საკმაო ძალა და ღონე გამოიჩინა, კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული იყო უკან დაეყენებინა თავისი „უმაღლესი მოსაზრებანი“ და საერობო რეფორმის საქმე წამოეყენებინა წინ.

აქედან ცხადია, რომ საერობო რეფორმის წინ წამოყენება და ხალხის წარმომადგენლების მოწვევა ამ რეფორმის შესახებ სხვა და სხვა საკითხების ასაწონ-დასაწონად, პირველი ნაყოფია, რომელიც აღმოცენდა ჩვენის ხალხის ეხლანდელ მდგომარეობის ნიადაგზე. ვინც სთესს, ის თავის დღეზე დაპურებულ ყანაზე ხელს არ აიღებს და უთუოდ მომკის. ჩვენის ფიქრით, სულ უბრალო გონიერება მოითხოვს, სწორედ ასევე მოეკიდოს ხალხი საერობო რეფორმას.

გარდა იმისა, რომ საერობო რეფორმა თავის შინაარსით არ არის ბიუროკრატიული რეფორმა, რადგან ერობა თავის თავად უარყოფაა ბიუროკრატიულ მმართველობისა, თვით წესი ამ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიმუშავა, სრულიად ეწინააღმდეგება ბიუროკრატიისთვის ჩვეულ წესს რეფორმების მოხდენისას: კარჩაკეტილს კანცელიარიებსა და კაბინეტებში კი არ ადგენენ საერობო თვითმმართველობის პროექტს, არამედ თვით ხალხისაგან არჩეულს წარმომადგენლებს ეკითხებიან, როგორი თვითმმართველობა გინდათო.

როგორც თვითონ ერობა, აგრეთვე იმის შემოღებად სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევად მოწვეული საბჭოები და წესი თვითმმართველობის პროექტის შედგენისა ისე ღრმად განსხვავდება, ისე თვალსაჩინოდ განირჩევა ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ მოქმედებისაგან, რომ არა გვგონია ამის დასამტკიცებლად კიდევ სიტყვის გაგრძელება იყოს საჭირო. ამ ჟამად როგორც მკითხველს ეცოდინება, ციმბირშიაც აპირებენ საერობო თვითმმართველობის შემოღებას, მაგრამ იქ ამ რეფორმის გასატარებლად საერობო საბჭოები არ შეუქმნიათ, ხალხისთვის წარმომადგენლები არ აურჩევინებიათ, ამ წარმომადგენლებს არ შეჰკითხებიან, როგორ გინდათ ერობის მოწყობაო; ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ გაცილებით უკეთესს მდგომარეობაშია ჩაყენებული, ამას დიდი დამტკიცება არა სჭირია, და ნუ თუ ჩვენის ხალხის წარმომადგენლებმა არ უნდა ისარგებლონ თავის მდგომარეობით, გულმოდგინებით არ უნდა მოეკიდნენ ხალხისაგან დავალებულს საქმეს და არ უნდა ეცადნენ მართლა ისეთი საერობო თვითმმართველობა მოუპოვონ ამ ხალხს, რომელიც იმის საჭიროების დამაკმაყოფილებელი, იმის ცხოვრების პირობებთან შეთანხმებული და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან განმათავისუფლებელი იქნება? არა გვგონია, საღი გონიერება და ხალხის საჭიროება მოითხოვდეს, რომ საერობო საბჭოების წევრებმა ზურგი შეუქციონ თავის საქმეს და წყნარად და მშვიდად დაბრუნდნენ თავის სახლში...

ჩვენი შეხედულების მოწინააღმდეგენი ამბობენ, საერობო საბჭოს წევრები საყოველთაო და თანასწორის ხმის უფლებით არ არიან არჩეულნი, იმათს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არ აქვს, ისინი მხოლოდ მოთათბირენი არიან და საქმის გადამწყვეტი კი ისევ ბიუროკრატია იქნება, ვიდრე ძირითადი ცვლილება არ მოხდება ცხოვრებაში, ვიდრე ხალხს სრული სახელმწიფოებრივი უფლება არ მიენიჭებაო. სრული ჭეშმარიტებაა. დემოკრატიულ იდეალების აღსრულებას კიდევ ბევრი რამ აკლია და საერობო საბჭოები არ შეიძლება ჩაითვალონ დემოკრატიის ყველა მისწრაფებათა დამაკმაყოფილებლად, მაგრამ განა ეს საკმაო საბუთია იმისთვის, რომ პირდაპირით უარვყოთ ისინი და სრულიად ზურგი შევაქციოთ?—სრულიადაც არა.

სწორედ იმიტომ რომ ჯერ-ჯერობით დემოკრატიულ მისწრაფებებს სრული გამარჯვება არ მოუპოვებიათ, ჩვენის ფიქრით, დემოკრატიის იდეალების დამცველნი მით უფრო მეტის სიმხნევით და ენერგიით უნდა მოეკიდნენ საქმეს, მით უფრო მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოებში და ეცადნენ, გაარღვიონ ეხლანდელი ვიწრო კედლები და გააფართოვონ შენობა.

ცხადია თავის თავად, რომ მარტო საერობო საბჭოებში მონაწილეობის მიღებით არ უნდა შემოიფარგლოს დემოკრატიულ იდეალების მიმდევართა მოღვაწეობა, პირიქით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, იმათ თავის მოქმედების შუქით ცხოვრების ყველა სფერო, ყველა მხარე და კუთხე გააშუქონ, მაგრამ სწორედ იმიტომ რომ სრულის გამარჯვებისთვის ყველგან მხნე და ენერგიული მუშაობაა საჭირო, ჩვენ არ შეგვიძლიან ასეთივე მხნე მოქმედება არა ვცნათ საჭიროდ საერობო საბჭოებში. რა ვუყოთ, რომ საბჭოს წევრებს გადამწყვეტი ხმა არა აქვთ? განა ჩვენის მწერლობის, ჩვენის ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობა-კი ასეთივე არ არის, განა მწერალს, რედაქტორს და გამომცემელს კი გადამწყვეტი ხმა აქვთ იმის შესახებ, რა დასწერონ და რა არა გაზეთებში თუ სხვაგან? ყველამ ვიცით, რომ მწერლობას მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს, გადამწყვეტი-კი ცენზორს ეკუთვნის, მაგრამ განა ეს საკმაო საბუთია, ზურგი შევუქციოთ მწერლობას და ხელი ავიღოთ იმაზე? სრულიადაც არა, პირიქით, რაც უფრო მეტს შევიწროვებას უპირებენ, მწერლობა იმდენად უფრო მეტის ენერგიით ჰმოქმედობს და ფარხმალს კი მაინც არა სტოვებს. განა გერმანიის რეიხსტაგში ხალხის წარმომადგენლებს სრული უფლება აქვთ თავის ნებაზე სახელმწიფო მაშინის დატრიალებისა, რომ იქაური სოციალ-დემოკრატიული პარტია მაინც საპარლამენტო მოღვაწეობაზე ხელს არ იღებს? ენერგია და მხნეობა სწორედ მაშინ არის საჭირო, როდესაც ხალხს ჯერ სრული უფლება არა აქვს მოპოვებული, თორემ როცა იდეალი განხორციელდება, მაშინ ხომ აღარც იმდენი ენერგია იქნება საჭირო.

ჩვენის აზრის მოწინააღმდეგენი ისე უცქერიან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, თითქოს ეგრედ წოდებული „რეჟიმი“ რაღაც ცხოვრების გარეშე მყოფი ძალა იყოს, რომელიც იმ დრომდე იქნება შემბორკველი ხალხისა, ვიდრე ერთხელ და სამუდამოდ არ იქნება ძლეული. ეს მეტაფიზიკური, ცხოვრებისაგან განყენებული შემეცნებაა რეჟიმისა და ნამდვილად-კი რეჟიმი მხოლოდ ზოგადი სიტყვაა, რომლითაც აღინიშნება საერთო ხასიათი ცხოვრების სხვა და სხვა სფეროში არსებულის წესებისა. ვინც ეგრედ წოდებულ რეჟიმის შეცვლის მომხრეა, იმან ყოველგან და ყოველთვის უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა ცხოვრების ძველს პრინციპებს, ყოველგან უნდა იბრძოლოს ძველის წესების დასამხობად, როგორც კი შეუძლიან, თორემ ცხოვრების გარეშე რომ დავუწყოთ ამ რეჟიმს ძებნა, ვერსად ვერ ვიპოვნით და ვერც ბრძოლას აუტეხთ.

საერობო საბჭოები ერთ-ერთი ასეთი დაწესებულებაა, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს ნაწილობრივი გამარჯვება მოიპოვებინოს დემოკრატიულ პრინციპებს ძველს ბიუროკრატიულს წესებზე, და ამ გამარჯვების მოპოვებას ხელს უნდა უწყობდეს ყველა გონიერი დამცველი ხალხის ინტერესებისა. საერობო საბჭოში მონაწილეობაზე უარის თქმა კი სწორედ იმათთვის იქნება ხელსაყრელი, ვინც დღე-მუდამ გაიძახის, ხალხი მზად არ არის თვითმმართველობისათვის, ხალხს თითონ არ შეუძლიან თავის საქმეების მოწყობა და წარმართვაო. **გ. რ.**

ორი თუ ექვსი წლიწადი?

სახალხო სკოლის ტიპების გამო.

(დასასრული *)

სკოლა უნდა მოწაფეთ წერა-კითხვას ასწავლიდეს იმ მიზნით, რომ მის შემწეობით პირველებს შესძინოს ცოდნა სხვა და სხვა სამეცნიერო, ცხოვრებაში გამოსადეგ საგნებიდან: თუ სკოლა ამგვარ ცოდნას არ იძლევა, იგი არა თუ უვარგისია, არამედ დიდად მავნებელიც, რადგან იქიდან გამოსული ახალთაობა გონებით და ზნეობით არასოდროს ძველს წინ არ გაუსწრობს და, მაშასადამე, იმ სკოლაზე დამყარებული სოფლის საზოგადოება მუდამ ერთ წერტილზე უნდა იდგეს და, შესაძლებელია, მთელის საუკუნით შეჩერდეს მისი გონებრივი გამოფხიზლება და ზნეობრივი გაფაქიზება.

ამის მაგალითს დღეს ჩვენ კიდეც ვხედავთ. რა არის აწინდელი სამ-წლოვანი სახალხო სკოლა, თუ არ იგივე წერა-კითხვის სკოლა? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ უკანასკნელს სამის მაგივრად ორი წლის ხანი ეძლევა,—სხვა არაფერი. ამ სკოლაში დღემდის გარუსების პოლიტიკას ისეთი ძლიერი პოზიცია ეკავა, რომ იქ

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2902.

მოსწავლე ბავშვი უეჭველად თუთიყუშად უნდა გარდაქმნილიყო და არა ადამიანად. პროგრამა და სკოლის ინსპექცია არაფერს სხვას მოსწავლისაგან არ თხოულობდნენ, განსაზღვრული რუსულ სიტყვების და ფრაზების ზეპირების გარდა. და რადგან ბავშვებს სკოლიდან გამოსვლის უმალვე ეს რუსული განძეული თავიდან ისევ მთლიანად სცვივოდა, როგორც ცხრილიდან, ამიტომ მას ხელში მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა-ღა რჩებოდა.

რა სურათს წარმოადგენს ახლა ეს „წერა-კითხვის" მცოდნე სოფლის ახალთაობა, —ყველას, მგონია, ნანახი გექნებათ. გულსაკლავი, მწარე ფიქრების ჩამგონია ეს სურათი. აი დუქნის წინ დგას (ქართლ-კახეთში ნანახი) ახალგაზდა ბიჭი, შავ დოშლუღიან ახალუხში გამოწყობილი; გული მუდამ გახსნილი აქვს, თუმცა ახალუხს მკერდზე ორპირად აქვს აყოლებული ყაითნის ღილები და კილოები; მიწყობილ ხშირ ნაოჭზე ოდნავ არტყია ვიწრო თასმის ანუ ოქროში დაფერილი ვერცხლის ქამარი; განიერი ლეკური შალის შალვრის ტოტები ჩაშვებული აქვს თეთრ წინდების ყელებში; ფეხზე მესტები აცვია; უკან კეფაზე ხის სოკოსავით მიმჯდარი მუშტის ოდენა თუშური ქუდი ადგია; შუბლს დიდად გაშავებული ქოჩორი უმალავს; ლაპარაკობს მაღალის ხმით, თამამად, უწმაწურ სიტყვებს ხშირად ურევს ბაასში; წიგნის კითხვა არ უყვარს, გაზეთისა ხომ არაფერი გაუგია სახელის მეტი; „ძმა-ბიჭებში" ლხინს და „გადაკვრას" სულით დაეძებს; ორღნით „ქეიფი" იდეალად მიაჩნია.

ასეთი გახლავთ თანამედროვე სახალხო სკოლიდან გამოსული სოფლის ახალთაობა! უცქერი და გიკვირს: ეს ხომ დუქან-ბაზრის გავლენაა, სად არის სკოლის დამღა? ჰფიქრობ და, ბოლოს, ის დასკვნა გამოგყავს, რომ სოფლის ახალთაობაზე სოფლის დუქანს გაცილებით მეტი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სოფლის სკოლას. კიდევ კარგი, რომ მედუქნეები სოფლის საზოგადოებას შრომის ფასს არა სთხოვენ და სრულიად მუქთად ასრულებენ ლალაობის მოვალეობას.

ღმერთო ჩემო, რა დიდი უფსკრულია შვეიცარიის და გერმანიის სახალხო სკოლიდან და ჩვენი სოფლის სასწავლებლიდან გამოსულ ყმაწვილთა შორის! განა შედარება შეიძლება?!

იქაურ სკოლიდან გამოდის გაწვრთნილი, საგნების მცოდნე, სამშობლო ქვეყანაზედ ნათელი წარმოდგენის მქონე, შრომისა და კეთილი სიტყვის მოყვარე, შეგნებული მოქალაქე; ჩვენებურიდან—გონება დახშული, არაფრის შემძენი და, პირიქით, სრულიად უვარგისი საზოგადოების წევრი.

ჩვენ სრულიად უარვყოფთ ეხლანდელ სახალხო სკოლის სოფლის საზოგადოებაზედ სასიკეთო გავლენას.

თუ დღეს სოფელს მაინც-და-მაინც პროგრესიული მსვლელობა ეტყობა, ეს მთლიანად ისევ ქალაქის გავლენას უნდა მიეწეროს—იმ ინტელიგენციას, რომელიც დროგამოშვებით სოფელს ესტუმრება ხოლმე: სტუდენტობას, საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს და სხვათ.

გლეხები მშვენივრად გრძნობენ ეხლანდელი ოფიციალური სკოლის არარაობას და ამიტომაც ამბობენ „არ გვინდას", როცა სიტყვა სკოლის ხარჯის გაღებაზედ ჩამოვარდება.

დიახ, სამართლიანად სცოდავს ის, ვინც გლეხს ძალას ატანს და ფულს ართმევს ეხლანდელი სახალხო სკოლის მოსაწყობად. სკოლა უნდა ამკობდეს ბავშვს ცოდნით, აძლევდეს იმ სხვანაირ ელფერს, რომლითაც აშკარად უნდა ირჩეოდეს სკოლა-გავლილი, „ნასწავლი" გლეხი უსწავლელისაგან, სკოლაში ნამყოფ სოფლის კაცს გლეხების საზოგადოებაში უპირატესობის მოპოვება უნდა შეეძლოს. ყოველ შრომასა და მოქმედებაში დანარჩენები, უსწავლელნი უნებლიეთ მისი მიმბაძველნი და მაცქერალნი უნდა ხდებოდნენ.

ასეთს ადგილს ვერ დაიჭერს კაცი, რომელიც ცოდნითა და ზნეობითის სიფაქიზით არ არის აღჭურვილი.

მოწაფის ამგვარად გაწვრთნას უნდა შესაფერი დრო; ორი წელიწადი კი, თუნდ ოთხიც, ასეთის მიზნის მისაღწევად სრულიად არ კმარა. თუ სახეში მივიღებთ, რომ საზღვარ-გარედ სახალხო სკოლაში ბავშვი წელიწადში სრულ თერთმეტ თვეს მეცადინეობს, რადგან ზაფხულობით მხოლოდ ორი კვირაა თავისუფალი და ორიც ზამთრობით, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ იმ საცოდავ პირობებს, რომლებშიაც ჩვენებური სოფლის ბავშვია ჩაყენებული, რომელიც, სოფლის მასწავლებლების ერთხმივ მოწმობით, წელიწადში სკოლაში დაიარება მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში.

ამრიგად საზღვარ-გარედ სახალხო სკოლაში სწავლა გრძელდება შვიდ წელიწადს და წელიწადში ბავშვი მეცადინეობს 11 თვეს; ჩვენში—ორ ან სამ წელიწადს და წელიწადში ბავშვი მეცადინეობს მხოლოდ 5 თვეს. განსხვავებაც ასეთი უნდა!

აქედან ცხადად სჩანს, თუ ქართველმა საზოგადოებამ რა ტიპის სახალხო სასწავლებელი უნდა ამოირჩიოს: ორ-წლოვანი, ოთხ-წლოვანი თუ ექვს-წლოვანი. თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ, საზოგადოდ, რაც ერთხელ დაკანონდება, რასაც საზოგადოება და მთავრობა თვალსა და ყურს შეაჩვევს, ის ადვილად აღარ იცვლება და ისპობა, მაშინ ადვილად მოვხვდებით, რა ტიპის სკოლისაკენ უნდა მიისწრაფოდეს ჩვენი სიმპატია. საბედნიეროდ, ნამესტნიკის საბჭომ და ბ-ნ პ. გოთუას კომისიამ საბოლოოდ უარჰყვეს ესრედ წოდებული, წერა-კითხვის სკოლა ორის წლის კურსით. დარჩა ერთ კლასიანი სასწავლებელი 4 წლის კურსით და ორკლასიანი 6 წლის კურსით. ამათში ნამდვილ სასურველ ტიპად ექვს-წლოვანი სასწავლებელი უნდა ითვლებოდეს, ხოლო ოთხ-წლოვანი ისე—„გაჭირვებისთვის", უილაჯობის გამო უნდა დარჩეს და არ უნდა ითვლებოდეს სრულ სასწავლებლად. ეჭვი არ არის, თუ რომელს მიეცეს ამ ორში უპირატესობა—ამის გადამწყვეტი მატერიალური მოსაზრება უნდა იყოს. რაკი ერთ სოფლის საზოგადოებას, ან ორს, სამს შეერთებულად მატერიალურის მხრივ და გეოგრაფიულ მდებარეობის მიხედვით შეუძლიანთ ექვს-წლოვანი სკოლა იქონიონ, უეჭველად ამ ტიპის სასწავლებელი უნდა დააარსონ. იქ, სადაც ყოველი სახსარი დახშულია, სადაც არას გზით ექვს-წლოვან სკოლის გახსნა არ შეიძლება, მეტი ღონე არ არის, უნდა ოთხ-წლოვანს დავჯერდეთ; ხოლო მოწაფეებს და მათ მშობლებს ჩანერგილი უნდა ჰქონდეთ ის აზრი, რომ ეს სკოლა ითვლება ნაწილად და არა სრულ სასწავლებლად, რომ აქედან გამოსული ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს „სწავლა-დამთავრებულად", რომ, თუ მარჯვე შემთხვევა მიეცა ოთხ-წლოვან სკოლის მოწაფეს, იგი უეჭველად ექვს წლოვანში უნდა გადავიდეს სწავლის განსაგრძობად.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებასაც. საერო და სასულიერო უწყებანი ხშირად ერთმანეთს ჯიბრში უდგებიან. ერთსა და იმავე სოფელში პირველი უწყება ცდილობს თავისი სკოლა გახსნას, მეორე—თავისი. ამას შედეგად ის მოსდევს ხოლმე, რომ ერთს სოფელში ორი სკოლა არსდება: სამრევლო და სადირექციო. პირველში სამღვდელოება ცდილობს სასულიერო ტენდენციები გაატაროს, მეორეში სუფევს სახორციელო (საერო) მიმართულება.

ორი უწყება რომ ერთმანეთს მეტოქობას უწევს, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს; ხოლო ამით რომ სოფლის საზოგადოებას ზიანი მოსდის, ეს კი ცხადია: იმის მაგივრად რომ სოფელი შეერთდეს და ერთი ხეირიანი ვრცელ პროგრამიანი სკოლა გახსნას, ორად იყოფა, ორ სასწავლებელს ინახავს, რომელთაც მოწაფეთა გამოტვინების მეტი სხვა არაფერი შეუძლიანთ. ან რა საჭიროა ორგვარი სასწავლებელი? ნუთუ სოფლის ერთი ნაწილი გაუმჯობესდება მხოლოდ იმით, რომ იქაური ბავშვები ბევრ ლოცვებს შეისწავლიან და მეორე დაიმხობა იმით, რომ ნაკლებად ექნებათ გაზეპირებული ლოცვები? სასულიეროდ წოდება შეშვენის იმ სასწავლებელთ, რომლებიდანაც სასულიერო პირნი გამოდიან—მღვდლები და დიაკვნები. სოფლის სკოლებს ეს მიზანი არა აქვთ; მაშასადამე, მათი დაყოფა სასულიეროდ და საეროდ საფუძვლის მოკლებულია. რაც გინდა უწოდეთ სოფლის, სახალხო სკოლას—თუნდა სამრევლო საეკლესიო, თუნდა სადირექციო, ეს სახელწოდებანი არ უნდა იყვნენ სკოლის პროგრამისა და მის შინაგანი ხასიათის გამომხატველნი. ყველა სახალხო, სოფლის სკოლები ერთ საფუძველზედ, ერთ პრინციპზედ უნდა იყოს აგებულ-მოწყობილი. არ შეიძლება ითქვას: გურულ ბავშვს უფრო მეტად გეოგრაფია სჭირია, მეგრელს ისტორია, თუშს ანგარიში, ქართლელს ბუნების-მეტყველება, კახელს ჰიგიენა და ქიზიყელს ხატვა და სიმღერაო.

რა საგნებსაც შეირგებენ გამოღმა სოფლის ბავშვები, ის არ აწყენთ გაღმაურებს. მიეცით ყველგან სოფლის ბალღის ტვინს ერთნაირი საზრდო და ნაყოფიც ერთნაირი მოსთხოვეთ.

განსხვავება უნდა მოხდეს მხოლოდ სასოფლო მეურნეობის გაცნობაში: ზოგან მეტად ვენახის მოშენებას და მეღვინეობას მისდევენ, ზოგან მებოსტნეობას, ზოგან თუთუნის მოყვანას, ზოგან ხილეულობისას, ზოგან აბრეშუმის ჭიის გაჩენას და სხვა. ამის მიხედვით ერთი ადგილის სკოლაში შეიძლება გამეფდეს მეურნეობის ერთი რომელიმე დარგი, მეორისაში—მეორე.

უსათუოდ სხვადასხვაობა გაჩნდება ჰიგიენის გაცნობაშიაც: ჩვენი სამშობლო ისეა დანაწილებული მთა-გორებით, რომ უნებლიედ ათასნაირი პირობები იბადება ადამიანის საცხოვრებლად; რა მდებარეობას ჰავას, სახლ-კარის გეგმას და მოწყობას ნახავთ გურიაში, იმას ვერ ნახავთ ქართლში, რასაც ნახავთ ქართლში, იმას ვერ ნახავთ კახეთში. ამიტომ ადამიანის ჯანმრთელობას ერთ ადგილას რომ მეტად ერთი სენი ემტერება, მეორე ადგილას სხვა სჭარბობს. მასწავლებელზედ იქნება დამოკიდებული, სად რომელ ჰიგიენის კანონებს დაუთმოს უპირატესობა მოწაფეების გასაცნობად.

ალექსი მირიანაშვილი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიაში. „ჟურნალ"-ის კორესპონდენტი ცნობილი ლიუდოვიკ ნოდო იუწყება ტოკიოდან: სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ არც ხალხს, არც პოლიციას თოფი და რევოლვერი არ უხმარიათ. რამდენიმე ასი დემონსტრანტია დაჭრილი, მაგრამ ყველანი ხმლით ან სხვა ამნაირ იარაღით არიან დაჭრილნი. პოლიციასა და ჯარს ბრძანება ჰქონდათ მიცემული, ზომიერად მოიქეცით, დიდი მოთმინება გამოიჩინეთ და ხალხს ნუ გაამწვავებთო. სალდათები მხოლოდ სახელმწიფო შენობებს იცავდნენ. ჯარი სულ არ მიუწვევიათ მანიფესტანტებთან საბრძოლველად; ხალხს მხოლოდ პოლიცია და ჟანდარმები ამშვიდებდნენ, მაგრამ ესენიც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხმარობდნენ იარაღს, როცა ხალხი ჯარს შემოეხვეოდა და იმათ სიცოცხლეს ემუქრებოდა. გონივრულ ღონისძიების წყალობით, ხალხმა არ შეიძულა ჯარი, პირიქით, სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან ოვაციას უმართავდა სალდათებს („რ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მთავრობამ შეასრულა ხალხის სურვილი და პოლიტიკურ პარტიების მეთაურების რჩევით საზავო ტრაქტატი გამოაცხადა. ხმა დადის, იაპონიის მთავრობის მიერ გამოცხადებული პირობა რამდენადმე განსხვავდება „მატენ"-ის მიერ გამოცხადებულ და ყველა ევროპიულ გაზეთში გადაბეჭდილ საზავო პირობისაგანაო. რადგან „მატენ"-ის მიერ გამოცხადებული პირობა იაპონიის პრესამაც გადაბეჭდა და იაპონიის ხალხმაც გაიცნა და რადგან მთავრობამ მაინც გამოაცხადა ხელშეკრულობის შინაარსი ხალხის დასამშვიდებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ პირობის ნამდვილი შინაარსი უფრო სასარგებლო უნდა იყოს იაპონიისათვის, ვიდრე ფრანგულ გაზეთის მიერ გამოცხადებული პირობა. („ს.").

დეპეშებიდან ვიცით, რომ ეს მოსაზრება მართალი გამოდგა და ზავის პირობა ნამდვილად უფრო სასარგებლო ყოფილა იაპონიისათვის, ვიდრე წინად ეგონა ყველას.

იაპონიაში მომხდარ არეულობის გამო „ტაიმს"-ი სწერს: როცა იაპონიის ერი საზავო ტრაქტატის შინაარსს სრულად გაიცნობს, როცა რიგზე აწონ-დაწონის იმ პოლიტიკურსა და ეკონომიურ უპირატესობას, რომელიც ტრაქტატმა შესძინა იაპონიას, როცა გაიგებს, რომ ეს უპირატესობა სამუდამოდ და მტკიცედ უზრუნველ-ყოფილია ინგლის-იაპონიის კავშირით, მაშინ იაპონიის ერი იძულებული იქნება აღიაროს, რომ იმის ბედის გამგე სახელმწიფო კაცებს უფრო შორს უჭრიდათ თვალი, სანამ თითონ ერს. („ს. ო.").

ჩინეთის გაღვიძება. ჩინეთის მთავრობამ ორი საყურადღებო ბრძანება გამოსცა. პირველი ბრძანება სრულებით აუქმებს მოხელეებისათვის დაწესებულ ეგზამენების ძველებურ რთულ სისტემას. ეს ეგზამენები უმთავრესი ბურჯი იყო ჩინეთის კონსერვატიზმისა და უკან დარჩენილობისა. აქამდე ყოველ ჩინელ მოხელეს ეგზამენი უნდა დაეჭირა და თანამდებობის შესაფერისი ცოდნა უნდა გამოეჩინა ძველებურ ჩინურ ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. ახალის ბრძანების ძალით, მოხელეებს მოსთხოვენ მხოლოდ თანამედროვე, ევროპიულ ტიპის სკოლის დიპლომს.

მეორე ბრძანების ძალით, დიდ-ძალი ახალგაზდა ჩინელი უნდა გაიგზავნოს განათლების მისაღებად ამერიკასა, ინგლისსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. ორივე ბრძანება დიდ გავლენას იქონიებენ ჩინეთის მომავალზე და ჩინეთის ერს ევროპასა და ამერიკას დაუახლოვებს. („რ. ვ.").

ექვსი წლის ბოიკოტი დანიაში. შვიდიოდე წლის წინად დანიის სატახტო ქალაქ კოპენჰაგენში მსხვილმა კაპიტალისტებმა ალბერტიმ (იუსტიციის ეხლანდელმა მინისტრმა), კლეტამ და შიოლდანმა სააქციონერო კამპანია დააარსეს სახელად „კოპენჰაგენის სახლის პატრონთა ამხანაგობა". კამპანიამ ერთ შორეულ უბანში, სადაც განსაკუთრებით მუშები ცხოვრობდნენ, მთელი ქუჩა—26 სახლი—იყიდა და სადგომები მუშებს მისცა. კამპანიასა და მუშებს შორის უთიერთობა მაშინვე გამწვავდა. 1899 წელს დიდი უსაქმობა იყო, მუშებს დროზე ვერ შეჰქონდათ ქირა და ეს ურთიერთობა უფრო გამწვავდა. კამპანია მეტად სასტიკად ექცეოდა მდგმურ მუშებს, ფულს სასამართლოს შემწეობით ახდევინებდა და სხვა. ამის პასუხად მუშებმა ბოიკოტი გაუმართეს კამპანიას, იმის სახლებიდან სხვაგან გადავიდნენ და თავიანთ ამხანაგებს სთხოვეს, დაცლილ სადგომს ნურავინ დაიჭერთო. ამ საშუალებამ გასჭრა და კამპანია, რომელსაც ბოიკოტამდე წელიწადში 159 ათასი კრონა (კრონა—44 კაპ.) შემოსდიოდა სადგომის ქირა, ბოიკოტის შემდეგ ამის მესამედს ძლივსღა იღებდა და წელიწადში 100 ათას კრონას ჰკარგავდა, ეს ქუჩა წინად მეტად ცოცხალი ქუჩა იყო, ბოიკოტის შემდეგ-კი ისე დაცარიელდა, რომ ხალხმა სახელად „მკვდარი ქუჩა" დაარქვა. კამპანია მაინც დიდხანს არ უთმობდა მუშებს, და ბოლოდ ეხლა, ექვსის წლის ბოიკოტის შემდეგ, გაყიდა თავისი სახლები და გაცილებით უფრო იაფადაც გაყიდა, ვიდრე თითონ ჰქონდა ნაყიდი. ბოიკოტისაგან 1,000,000 კრონის ზარალი მოუვიდა კამპანიას („რ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ 10 სექტემბერს **კავკასიის ნამესტნიკი** ბაქოში აპირებს ჩასვლას.

◆ „კავკაზ"-ის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია **ნამესტნიკის ბრძანება** გორისა და დუშეთის მაზრებში სამოქალაქო და სამხედრო ნაწილების უფროსად პოლკოვნიკის ალფტანგის დანიშვნის შესახებ. პოლკ. ალფტანგის დასახმარებლად სამოქალაქო ნაწილში დაინიშნა ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელე უგან. თავ. გრუზინსკი.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭოს ყველა ხმოსნებმა** გადასწყვიტეს თანამდებობას თავი დაანებონ. როგორც ვიცით, ერთი წრე ხმოსნებისა ამის წინააღმდეგი იყო.

◆ **სად. აბაშა.** 4 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, როდესაც საფოსტო მატარებელი სადგურში შემოვიდა, იარმუკობაზე მყოფმა დიდძალმა ხალხმა შეაჩერა იგი. ამ მატარებელს მოსდევდა სამი ჟანდარმი, სამი სალდათი და ორი აფიცერი. ასტყდა ორივეს მხრივ სროლა. ბევრი დაიჭრა ხალხიდან. ხალხი მატარებელში შევიდა. როდესაც მატარებელი სამტრედიისკენ უნდა წასულიყო, ვიღაცას ვაგონები მოეხსნა. ორთქლმავალი წავიდა, ხოლო ვაგონები ხალხით აბაშაშივე დარჩა. სროლა ასტყდა აგრეთვე მე-52 ვერსზე, სადაც ლიანდაგი აეხსნათ. სადგურის ფანჯრები და ფარნები მილეწ-მოლეწილია.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ყოფილმა ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა გუშინ განცხადება წარუდგინა დროებით გამგეობას და სთხოვა, გადახდილ იქნას პანაშვიდი 29 **აგვისტოს დახოცილთა სულის** მოსახსენებლად.

◆ ტფ. რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში 5 სექტემბერს მოსწავლეებმა გადაიხადეს პანაშვიდი 29 **აგვისტოს ქალაქის საბჭოს დარბაზში დახოცილთა** სულის მოსახსენებლად.

◆ ტფილისის ქალაქის ღამის **დარაჯმა** ვანო თევზაშვილმა სთხოვა შემწეობა გამგეობას. **თევზაშვილი** 29 **აგვისტოს დაჭრილა.**

◆ ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის მოხელე მოსამსახურეებს მოლაპარაკება აქვთ პანაშვიდი გადაიხადონ 29 **აგვისტოს დახოცილთა** სულის მოსახსენებლად.

◆ მკითხველებს ახსომებათ, რომ ამ რამდენისამე დღის წინად კავკავის რკინის გზაზე ვიღაც კაცები **დაეცნენ სახაზინო** მატარებელს. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაშავდა. იმ ადგილის ახლო-მახლო, სადაც ეს ამბავი მოხდა, ინგუშები სცხოვრობენ. ნამესტნიკს უბრძანებია თერგის ოლქის უფროსისთვის, მოსთხოვოს ინგუშებს გასცენ თავდამსხმელნი. ინგუშებს სამი დღის ვადა მიეცემათ; თუ ყაჩაღებს არ გასცემენ, ახლო-მახლო სოფლებს კონტრიბუცია გადახდება.

◆ როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ქიზიყის ზოგიერთ **სოფლებს შორის დავაა** საძოვ-სათიბისა და სახნავ ადგილების მოუწესრიგებლობისა გამო. ხშირად ასეთი დავა შეტაკებასაც იწვევს. შეტაკება და სისხლის ღვრა მოხდა ამ ცოტა ხანში სოფლებს ფონიანისა და ანაგის გლეხებს შორის. ორივე სოფელი ერთ და იმავე ადგილს იჩემებს. საგუბერნიო მთავრობამ გაგზავნა ადგილობრივ მიწის მზომელი, რომელმაც სოფლებს საზღვრები უჩვენა. ამით ცოტათი დაწყნარდნენ, მაგრამ ეხლა კიდევ ჩამოვარდნილა უთანხმოება. გუბერნატორს უთხოვნია ნამესტნიკისათვის; უბრძანოს სახელმწიფო მამულების გამგეობას, რომელსაც ასზე მეტი მიწის მზომელი ჰყავს, დაუყოვნებლივ გაგზავნოს რამდენიმე მიწის მზომელი და საქმე საბოლოოდ მოაწეს-რიგოს.

◆ **ღვანკითში მომხდარ მკვლელობის გამო** სოფელმა აღკვეთა დამოკიდებულება ადგილობრივ თავად-აზნაურობას უგან. თავ. ბაგრატიონის ქვრივს, ხიდირბეგიშვილებსა და ყაფიანებთან. ერთი ხიდირბეგიშვილი შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლია და იმისი თხოვნით გუბერნატორი იყო ღვანკითში გლეხთა და თავად-აზნაურთა მოსარიგებლად. თუმცა ხალხმა დიდის პატივისცემით მიიღო გუბერნატორი, მაგრამ შერიგება ვერ მოხერხდა.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ადგილობრივ ენებზე **სახალხო კითხვების გამართვის ნება დართო** ტფ. გუბერნიაში. როგორც ვიცით, დღემდე აკრძალული იყო ასეთი კითხვები ადგილობრივ ენებზე.

◆ **ქ. გორი.** გათავდა მისაღები ეგზამენები აქ არსებულ საოსტატო სემინარიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სემინარია მხ ლოდ ამიერ კავკასიელებისათვის არის დაა სებული,—წელს რამდენიმე მოსწავ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიიღეს. სემინარ ოცდა ცხრა წელიწადი არსებობს და ჯ ისეთი წელიწადი არა ყოფილა, რომ ქა თველები არ მიეღოთ. წელს-კი ერთი მეხა მიიღე, ერთი ბერძენი, ექვსი რ (ორი ჩრდილოეთ კავკასიელი ყაზახი) არც ერთი ქართველი. რითი აიხსნე მკითხველო, ეს მოვლენა? ნუთუ ოცდა მთხოვნელში ერთი არ აღმოჩნდა მიღე ღირსი? შუაგულ საქართველოში სასწ ლებელია და ამ სასწავლებელში ყვე სხვა ერის შვილებს იღებენ, ხოლო ქა თველებს უარს ეუბნებიან.

◆ თავადი ალექსანდრე მაჭუტაძე ადმი**ნისტრატიულის წესით იყო** გაგზავნი ხუთის წლით კალუგის გუბერნიაში. თავ [illegible] ის ოჯახმა შუამდგომლობა აღძრა სასჯე ახადონ მაჭუტაძეს. ჩვენ გავიგეთ, რომ შუამდგომლობა შეუწყნარებიათ.

◆ კავკასიის ადმინისტრაციამ უკან და**ბრუნების** ნება დართო **ადმინისტრატიულ წესით გაგზავნილებს** ესტო ენგიბარო ალექსანდრე არუთინოვს და გერასიმე პე როსიანცს.

◆ საზოგადოებაში დიდი ხანია დადის ხმა, რომ **სოხუმის ოლქი**, რომელსაც და მოუკიდებელი მართვა-გამგეობა ჰქონდა დღემდის, ჩერნომორის გუბერნიას უნ შეუერთონ. ამის გამო, როგორც ჩვენ მკითხველებმა უკვე იციან, სოხუმის ოლ წარმომადგენელმა, თავ. ა. შარვაშიძემ და ნ. ყ. თავდგირიძემ ნამესტნიკის წინაშ შუამდგომლობა აღძრეს, რომ სოხუმის ოლ ქი შეუერთონ ქუთაისის გუბერნიას. შუამდგომლობა ნამესტნიკმა გადასცა ქუ თაისის გუბერნატორს და დაავალა, ამ სა ნის შესახებ მცოდნე პირთაგან კომის შეადგინოს და გამოარკვიოს, ქუთაისის თ ჩერნომორის გუბერნიას მიეწეროს სოხუმ ოლქი. სოხუმის ოლქი წინათ ქუთაისის გუბერნიაზე იყო მიწერილი და დიდი ხანი, რაც დამოუკიდებლად გახადეს.

◆ 30 აგვისტოს, სენაკის **სატუსაღოში ორმა ტუსაღმა**, სირდიანმა და შურღაიამ, ზედამხედველს ჩაჩავას წაართვეს ხმალი და სხვა ტუსაღებთან ერთად ცემა დაუწყე ვიდრე სამხედრო ყარაული არ მიშველებო და, ზედამხედველი ხელიდან ვერ გამოგ [illegible] თვათ.

◆ სურამიდან „ნ. ო."-ს ატყობინებენ, რომ ახლო-მახლო სოფლებში **შეიარაღებული ოსები** გაჩნდნენ და დაეცნენ მემამულეთა სახლებსაო. საქმე უმსხვერპლოდ არ გადარჩენილა.

◆ **უწმ. სინოდს არ შეუწყნარებია** ოზურგეთის მაზრის შემოქმედის სოფლ საზოგადოების შუამდგომლობა საეკლესი კრებულის სასარგებლოდ დაწესებულ დრა მის გაუქმების შესახებ.

◆ ეს **რამდენიმე დღეა ტფილისს** ეს**ტუმრნენ** საზღვარ-გარეთის გაზეთების კო რესპონდენტები, რომელნიც დიდათ დაინ ტერესებულნი არიან კავკასიის დღევანდელ ყოფა მდგომარეობით.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ნადაბურში მცხოვრები გლეხები უჩიოდნენ იმავე მაზრი სოფელ ცილდის გლეხებს **თავდასხმას** და **საიჯარო მიწების ძალით წართმევას.** საგუბერნიო მთავრობას სამაზრო ადმინისტრა ციისათვის მიუნდვია ადგილობრივ გამო კვლევა ამ საქმისა.

◆ 1 სექტემბერს, დილის ცხრა საათზე როცა **ფოთის სამხედრო ეკლესიის** დარაჯ ეკლესიას ათვალიერებდა, შენიშნა რომ ზოგიერთი ნივთი თავის ადგილას აღარ იყო ეს ამბავი მაშინვე შეატყობინა ფოთის ჯა რის უფროსს, რომელმაც მაშინვე ჯარი შემოარტყა ეკლესიას; შიგ იპოვნეს ქურდ პეტერბურგის გუბერნიის მცხოვრები გვა რად იაგორ ვასილიევი.

◆ **გორის მაზრის** სოფელ დღვრისის **გლეხებს თავიანთ ბატონებზე საჩივარი** გადაუციათ მთავრობისთვის,—სანადელო მი წები წაგვართვესო.

◆ **თავად ფალავანდიშვილებს** შორა **პნის მაზრის საზღვარზე** აქვთ ტყე, რომე ლიც შორაპნელებმა რამდენჯერმე გაკაფეს. 24 და 25 **აგვისტოს** ფალავანდიშვილებმა გარეკეს შორაპნელები, რომელნიც მეორე დღეს, ბერდანებით შეიარაღებულნი, და ბრუნდნენ ტყეში და ფალავანდიშვილებ სროლა დაუწყეს. ამათაც სროლით უპასუ ხეს. შორაპნელთა შორის რამდენიმე კაც დაიჭრა და მოკვდა. ერთი მათგანი 29 აგვისტოს დაასაფლავეს საჩხერეში. დაკრძა ლვას მრავალი ხალხი დაესწრო და ბევრ სიტყვა იქნა წარმოთქმული.

◆ 29 აგვისტოს, როცა ჟანდარმი ბორ ჟენკო საჩხერიდან ჭიათურაში მიდიოდ ღამის 10 საათზე, **თავს დაეცა რამდენიმე მუშა და რევოლვერი წაართვა.**

◆ **რაჭის მაზრის ცხრა** სოფლის საზო გადოებიდან მარტო სამმა აირჩია წარმომა **გენელი საეროზო სამაზრო** საბჭოს წევრად. სამაზრო საბჭოს სხდომა რომ დაიწყო, ათ წევრი არც-კი დასწრებია და ამის გამ თავმჯდომარემ შესაძლებლად ვერა სცნ

კრების გაგრძელება. ეხლა, როგორც ნამდვილად გავიგეთ, მაზრის მარშალს გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ რაჭის მაზრის სამაზრო საბჭოს წარმომადგენელთ კვლავ მიეცეთ ნება შეკრებისა. გუბერნატორმა ნება დართო.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ წილკნის მცხოვრებთ თავიანთ შორის აურჩევიათ არა კეთილ საიმედო პირები, გადაუციათ მთავრობისათვის და უთხოვნიათ, ჩვენის ხარჯით სხვა ქვეყნებში გაიძევეთო. რამდენიმე მათგანი ადმინისტრაციას დუშეთის საპყრობილეში ჩაუსვამს.

◆ **ჯარის გაგზავნა.** ოზურგეთში გაიგზავნა ერთი ბატალიონი და ნახევარი როტა, ახალ-სენაკში—ერთი როტა, ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერში—ნახევარი სოტნა, შემახაში—ერთი როტა და ქობულეთში—ნახევარი როტა.

◆ **ახალი გაზეთები.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ახალ ყოველ დღიურ გაზეთების გამოცემისა: დ. ნ. ბაქრაძეს—ქუთაისში ქართულ გაზეთის „შრომისა“, გურსკის ბაქოში რუსულ გაზეთის „ბაკინსკიე ოტგოლსკი“-სა და აბდულ-მაბუდუ-ჯალილ-ოღლი მუსტაფიევს—ტფილისში რუსულ და ადერბეიჯანულ ენებზე „გიუნ ჩიხან“-ისა (აღმოსავლეთი).

◆ ტფილისში შემდგარა ამხანაგობა **კავკასიაში ხე-ტყის საექსპლოატაციოდ** („ნ. ო.“).

◆ სასინოდო კანტორაში, როგორც „მუშუმს“ს გაუგია, ლაპარაკი აღძრულა ბლაღოჩინთა კენჭის ყრით არჩევის შესახებ.

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში** ბევრი მოსწავლე (თითქმის 120), ადგილობის გამო, ვერ მიიღეს. როგორც გავიგეთ, ზოგიერთ დედმამას აზრად აქვს ცალკე პარალელურ კლასის გახსნა.

◆ 25 აგვისტოს, როგორც ვწერდით, ნამესტნიკის საბჭოს წევრის ბ-ნ ჟუნკოვსკის მეთაურობით დასრულდა ტფილისში კრება გადასახადთა ინსპექტორებისა. კრებამ განიხილა საკითხი **გლეხთა ნადელების გამოსყიდვის** შესახებ. ამავე აზრით, ჟუნკოვსკი ბაქოს გაემგზავრა.

◆ 19 აგვისტოს ს. გვალთაში აგვისტოს გაძარცვეს ადგილობრივი გლეხი ნანკოტაძე. კვალითის თავსა და ასის თავებმა დაიჭირეს ბოროტ-მოქმედნი, იგ. კობახიძე და სოგდეკაძე, და მოლიციას წარუდგინეს დასატუსაღებლად.

◆ 3 სექტემბერს სამტრედიის სადგურზე დღისით შეზარხოშებულმა თრმა ახალგაზდამ რევოლვერის სროლა დაიწყო და დასჭრა კონდუქტორი.

◆ როგორც გავიგეთ, სამუბერნიო მთავრობას სამართალში მიუცია თელავის მაზრის ყვარლის საზოგადოების მამასახლისი სხვადა სხვა უკანონო საქმეების ჩადენისთვის.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ უჯარმის საზოგადოების გლეხებს შუამდგომლობის აღუძრავთ, ნება მიეცეთ უფასოთ ისარგებლონ სახელმწიფო ტყით და საბალახო ადგილებით „უჯარმის დაჩაში“.

◆ რკინის გზის გამგეობამ უარი შეუთვალა ქალაქს ნავთის დათმობაზე.

◆ 5 სექტემბერს ქ. თიანეთში დაიწყო სხდომები ტფილისის ოლქის სასამართლოსი. სხდომები გაგრძელდება 12 სექტემბრამდე. სასამართლომ უნდა განიხილოს 12 საქმე.

◆ 30 წარსულ აგვისტოს ფოთის სანავთსადგურო მოსეზე, არამიანცის ქარხნის მახლობლად, ბოროტ-მოქმედნი თავს დაეცნენ გარგანჯიას და პერტაიას და წაართვეს 14 მანეთი ფული და საათი ღირებული 30 მანეთად. ერთი ბოროტ-მოქმედი, ვასილ დარციმელია, იცნეს, მაგრამ დაჭერით ვერ დაიჭირეს.

◆ 18 აგვისტოს ს. გორაში გაძარცვეს ფულის აკრები პავლე ბიბიჩაძე, რომელსაც წაართვეს 117 მანეთი და თან დასჭრეს.

◆ 27 აგვისტოს უბის ღელის მაღაროში (მღვიმევის მახლობლად) მიწა ჩამოწვა და სასიკვდილოდ დააზავა გრიგოლ დევიძე.

◆ ს. მარელისში 25 აგვისტოს ხუთი ბერდანკით შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ადგილობრივ ვაჭარს მაღრაძეს და წაართვეს ფულად 130 მანეთი და ნივთები 56 მანეთისა.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ ხოშატინის სოფლის საზოგადოებას უთხოვნია მთავრობისთვის ცალკე მამასახლისის დანიშვნა ამ სოფელში და ცალკე სასოფლო სასამართლოს დაარსება.

◆ ტფ. მაზრის სოფ. ქვეშეთში 2 სექტემბერს რამდენიმე შეიარაღებული კაცი დასცემია საქონლის ჯოგს სოფელ კესალოს მცხოვრებლებისას. ატყდა თოფების სროლა მწყემსთა და თავდამცემთა შორის, რომლის დროსაც ერთი კაცი მოუკლავთ.

◆ როგორც მიხაილოვიდან გვატყობინებენ, 6 სექტემბერს ღამე, მე-160 ვერსტზე, ბუტკაში მოუკლავთ გზის დარაჯი თედორე ლომსაძე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ძმ. ჯამგაროვებისაგან ნასესხებ თანხისა გამოიტანა გუშინ-წინ 10,000 მან. მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ბაქოს უბედურებამ ჩვენ ნავთით მოვაჭრეებზე ბედნიერად იმოქმედა. ორი დღე, როგორც იყო, შეიკავეს თავი, შემდეგ-კი საათობით დაიწყეს ფასის მომატება. ამ ჟამად ფუთი ნავთი 3 მან. იყიდება, ექვსი აბაზის მაგიერ, გირვანქობით 8 და 10 კაპ. ჩვენმა ქალაქის გამგეობამაც სწორედ ამ დროს უსუსტა და დახმარების მაგიერ, თავის ნავთის დუქნები დაკეტა.

◆ ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის წევრი, მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი თავ. ზაალი ჰავჰავაძე, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

◆ ქუთაისში 26 აგვისტოს, მესხეთის ქუჩაზე, ღამის ათ საათზე ორი კაცი თავს დაეცა პოლიციელ კაკაბაძეს, რომელსაც წაართვეს რევოლვერი და თან ხელსა და ყურში დასჭრეს. ერთი ავაზაკი კაკაბაძემ დასჭრა და დაჭერით-კი ვერ დაიჭირა.

◆ 3 და 4 სექტემბერს ქუთაისში ჩამოვიდა ყარსიდან ნავაგინის პოლკის ორი ბატალიონი.

◆ გაიფიცნენ ქუთაისის რესტორანების, სირაჯების და სამიკიტნოების მოსამსახურენი. მათ შემდეგი წარუდგინეს თავიანთ ბატონებს:

1. კვირაობით და თორმეტ უმთავრეს უქმეებში სრული თავისუფლება; 2. დუქნების გაღება 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე დილის ექვს საათიდან საღამოს ცხრა საათამდე; 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე დილის შვიდ საათიდან საღამოს რვა საათამდე; 3. ბინების გაუმჯობესება; 4. ბიჭების მიღება ერთის წლით, მასთან არა ნაკლები 14 წლისა; 5. ზრდილობიანი მოპყრობა; 6. გაფიცვის დროს არავინ არ იქნეს დათხოვნილი და სრული ჯამაგირი მიეცეთ; 7. თუ ვინმე მოსამსახურეს გაშვება უნდა, გამოუცხადოს ერთი თვის წინად.

◆ ქუთაისის საბჭოს ხმოსანი გ. ქამ. ქორქაშვილი, რომელიც ერთის ინციდენტის გამო თემირხანშურაში იყო გადასახლებული, ისევ ქუთაისში გადმოიყვანეს.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსამზადებელ კლასში წელს 46 მოსწავლე მიიღეს.

პრესსა

კავკასიის ეხლანდელი მდგომარეობა საერთოდ რუსეთის პრესსის დიდს ყურადღებას იქცევს და ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ პრესსის ინტერესი კავკასიის ცხოვრებისადმი უფრო გაძლიერდა. სხვა და სხვა გაზეთები თავის მიმართულების და მიხედვით სხვა და სხვა თვალით უცქერის კავკასიის საქმეებს. „ნოვოე ვრემია“ ჰფიქრობს, რომ არეულობას კავკასიაში ერთად ერთი წყარო აქვს და ეს წყარო ის არის, რომ ადგილობრივი მთავრობა საკმაო სიმკაცრით არა ჰმოქმედობს და ჰუმანიურად ეპყრობა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

საქმე იმაშიაო, სწერს „ნოვოე ვრემია“, რომ კავკასიის მრავალ ტომიანი მცხოვრებლები აქამომდე ნამდვილი აზიატები არიან, რომელთაც „ოდნავ თუ მიეცხო კულტურა, ისიც ზედაპირულად, თორემ ნამდვილად ის მოძრაობა, რომელიც გარეგნობით თითქოს სარევოლუციო აზრების და ევროპის ლექსიკონის სიტყვების ირგვლივ ტრიალებს, პირდაპირი გამოხატულებაა ველურის აზიატობისა. აზიური ტომებრივი და სარწმუნოებრივი სიძულვილი მხოლოდ გაძლიერდა კლასების ეკონომიურის ანტაგონიზმით და გიჟურ პოლიტიკურ ოცნებებით. ეს აზიატობა მხოლოდ ერთად ერთის ავტორიტეტის წინაშე იხრის ქედს, მხოლოდ ძალას შეუძლიან იმისი დაწყნარება, პირიქით ყოველი ჰუმანიური მოპყრობა, ყოველი მიმართვა მოქალაქეობრივ მოვალეობისადმი ამ აზიატების თვალში მოწმობს მარტოოდენ უძლურებას და, რა თქმა უნდა, ასეთს პოლიტიკას სრულიად არ შეეძლო ჩაენელებინა დანგრევისა და ოვითნებობის ინსტინქტები, რომელთაც ხელს უწყობდა ფანატიკური პროპაგანდა ყოველგვარ განადგურებულ აზრებისა და რომელნიც თავის დროზე არ იყვნენ შებორკილი ღონიერისა და მტკიცე ხელით.

სწორედ ასეთი ბედი ეწია გრაფ-ვორონცოვ-დაშკოვის მშვიდობიანურს პროგრამმას, ჰუმანიურ და პროგრესსიულ პრინციპებზე დამყარებულს, რომლებიც სრულიად არ შეეფერებიან ადგილობრივ მცხოვრებთა ხასიათს და კულტურულ მდგომარეობას...

ჰუმანიური მოპყრობა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ისე განმარტეს, რომ მთავრობა უძლურია და მაშასადამე ყველას თავის ნებაზე შეუძლიან მოიქცესო... იმის მაგიერ, რომ რუსეთის მმართველობის პრესტიჟი დაგვეცვა, ჩვენ ჯერ ჩავრიეთ იგი, მმართველობა, ადგილობრივ ეროვნულ განხეთქილებაში, მხარს ვაძლევდით ერთს ეროვნებას მეორის წინააღმდეგ, ვანიჭებდით უპირატესობას ერთ ერს მეორის წინაშე, ამ გვარად ძირს ვუთხრიდით რუსის მმართველობის სამართლიანობასა და მიუკერძებლობას, და შემდეგ-კი თვით ჩვენვე შევარყიეთ ძალის პრესტიჟი, კომპრომისსებით ვცდილობდით შეგვეთანხმებინა ჩვენი მოქმედება სხვა და სხვა პარტიკულიარისტურ პრეტენზიებთან და მხარს ვუქცევდით სასტიკ რეპრესიების გზას, როდესაც, პირიქით, საჭირო იყო, გამოგვეჩინა სიმტკიცე და შეურყევლობა, რათა ავვემაღლებინა რუსის მთავრობისა და რუსულ კულტურის ძალის მნიშვნელობა ამ ველურს ქვეყანაში. ამ უბედურ შეცდომათა ნაყოფი ის არის, რომ მთელი კავკასია ამოძრავდა: სრულიად სხვა და სხვა მიზეზმა და საბუთმა სხვა და სხვა ადგილებში ერთი და იგივე დასკვნა მოგვცა; ეხლა ქვეყანა ანარქიის ცხადს სურათს წარმოადგენს.

„ნოვოე ვრემია“ არასოდეს არ ყოფილა ჰუმანიურ აზრების მატარებელი, პირიქით, ის მუდამ ძალასა და რეპრესიებზე ამყარებდა ყველა თავის იმედებს და, რასაკვირველია, ამ გაზეთს არც ჩვენის ქვეყნისათვის ჰშურს „ძლიერი და მტკიცე მმართველობა“, რომელიც მღაბიურად ადმინისტრაციის თვითნებობით სიმკაცრეს მოასწავებს. ჩვენ, კავკასიელებმა, კარგად ვიცით, რომ ადმინისტრაციის მხრივ მკაცრ და სასტიკ მოქმედების გაძლიერება არა თუ საჭირო არ არის, არამედ კი მეიძლება, მაგრამ სუვორინებს ამის დარდი არა აქვთ, იმათ ყველა საქმის მოსაწყობად ერთად-ერთი საშუალება გაა ჩნიათ.

გაზეთი „ნაშა ჟიზნი“ აღნიშნავს, „ნოვოე ვრემია“ თითონვე გვიჩვენებს, რას უნდა მიეწეროს უკანასკნელი საშინელი ამბები ბაქოსა და შუშაშიო, და ხაზ-გასმით მოჰყავს ის ადგილი „ნოვოე ვრემია“ს წერილიდან, რომელიც შეეხება მმართველობის ჩარევას ადგილობრივ ეროვნებათა განხეთქილების საქმეში და უპირატესობათა მინიჭებას ერთის ერისადმი მეორის წინაშე.

გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“-ც ეხება „ნოვოე ვრემია“-ს წერილს და აღნიშნავს, რომ ნიადაგი საშინელის უბედურებისა კავკასიაში მშვიდობიანობის პროგრამმამ კი არ მოამზადა, პირიქით, ამ პროგრამმის დაუმთავრებლობამაო.

„შეცდომა კავკასიის ადმინისტრაციისა „ჰუმანიზმი და კეთილის მაურველობა“ კი არ არის, როგორც ეს „ნოვოე ვრემიას“ ჰგონია, ამბობს გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“, არამედ ის გარემოებაა, რომ ეს „ჰუმანიზმი და კეთილმოურნეობა“ უფრო თეორიულად გამოიხატა, ვიდრე პრაქტიკულად. რომ ბოლომდე არ იქმნა განვითარებული სანახევრო ზომებით და უმტკიცობით დაუკარგა ხალხს რწმენა თვით ამ პოლიტიკის სიმტკიცისადმი, რომ ეს პოლიტიკა დროის შესაფერ სახელმწიფო მოღვაწეთა ხელში არ იყო, და დასასრულ ის გარემოებაა, რომ ამ პოლიტიკამ არ მოისურვა ანგარიში გაეწია მცხოვრებლების ფართო წრეებისა და მათის ინტერესებისთვის და სამაგიეროთ დაემყარა „კავკასიის საზოგადოების კეთილ მოაზრე ნაწილზე“, რომლადაც ქართულის, სომხურის და თათრულის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი იქმნენ მიჩნეული“.

როგორც ვხედავთ, რუსეთშიაც სუვორინისავით ყველას ასე ადვილად არ ემეტება კავკასიისთვის რეპრესიები. გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“ ამბობს, გამოცდილებამ უკვე კარგად დაამტკიცა, რომ რეპრესიები მიზანს ვერ აღწევენ. რეპრესიები კი არ არის საჭირო, პირიქით, საჭიროა ეხლანდელ კავკასიის პროგრამის სრული განთავისუფლება იმ მემკვიდრეობისაგან, რომელიც თავადის გოლიცინის შემდეგ დარჩაო.

პროექტი

„საქართველოს საერობო დაწესებულებათა“ დებულების ძირითად საფუძვლებისა

I. რა საქმეები ექვემდებარება საერობო დაწესებულებათა უწყებას.

საერობო დაწესებულებათა უწყებას ის საქმეები ექვემდებარება, **რომელიც ეხება როგორც** მთელი ოლქის, ისე იმის ნაწილების მცხოვრებთა საჭიროებებს და მოთხოვნილებებს:

1. მართვა გამგეობა საერობო კადასტრების საქმისა.

2. მართვა-გამგეობა საერობო თანხებისა და ქონებისა.

3. მართვა-გამგეობა ხალხის კვების საქმისა.

4. დაცვა ხალხის ჯანმრთელობისა.

5. მართვა გამგეობა საბჭოთაო საქმისა.

6. მართვა გამგეობა პირველ დაწყებით და დაბალ სახალხო სწავლა-განათლებისა, აგრეთვე სკოლის გარედ განათლებისა; ერობის ხელში უნდა იყოს ამ საქმის ყოველი მხარე—სამეურნეო, ადმინისტრატიული და სასწავლო; დაარსება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისა; მართვა-გამგეობა ამ საშუალო სასწავლებლებისა რომელიც ერობის ხარჯით აარსება; მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებელთა მართვა-გამგეობაში; ეს მონაწილეობა გამოიხატება არჩეულ წარმომადგენელთა დანიშვნით ამ სასწავლებლების საბჭოებში.

7. მოწყობა მცხოვრებთათვის იურიდიულ დახმარებისა.

8. მოწყობა აგრონომიულ დახმარებისა.

9. მოწყობა წვრილ კრედიტისა.

10. მოწყობა სამელიორაციო კრედიტისა.

11. მოწყობა საერობო დაზღვევისა.

12. მართვა-გამგეობა იმ გზებისა, რომელიც საქართველოს საოლქო საერობო ტერიტორიაზეა (მდინარისა და ზღვის გზებისა, გზატკეცილებისა, საერობო გზებისა, რკინის გზებისა და სხვა), სახაზინო და კერძო რკინის გზების გარდა; აგრეთვე მონაწილეობა წარმომადგენელთა მხრივ კერძო და სახაზინო რკინის გზების და საგაჭრო ნავსადგურის მართვა-გამგეობის საქმეებში და ამავე გზებისა და ნავსადგურის ტარიფების შემუშავებაში.

13. მართვა-გამგეობა საერობო ფოსტისა, აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონისა, რომელიც-კი ერობის ხარჯით იქნება გამართული.

14. მართვა-გამგეობა გადასახლების, მიწათ-მოწყობის და მიწათ-სარგებლობის საქმისა.

15. მართვა-გამგეობა საზოგადოებრივ წესრიგის საქმისა.

16. ზრუნვა ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ, ცეცხლის ჩაქრობისა და პირუტყვის ჭირის მოსპობისათვის.

17. ზრუნვა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის.

18. ზრუნვა საზოგადოებრივ ქველ-მოქმედებისათვის.

19. მოხდენა სტატისტიკურ, საბუნებისმეტყველო-საისტორიო და სხვა სამეცნიერო გამოკვლევებისა.

20. მონაწილეობა მართლ-მსაჯულების საქმეში (ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა, არჩევა საერობო კრებების მიერ ნაფიცის და საპატიო მოსამართლეებისა).

21. ყველა პარაგრაფში ჩამოთვლილი საქმეები, რომელიც ეხება ერთის სოფლის საზოგადოების ტერიტორიას, სოფლის საერობო დაწესებულებათა ხელში უნდა იყოს; რამდენიმე სოფლის საზოგადოების ან მთელის თემის საქმეები—სათემო საერობო დაწესებულებათა ხელში, ხოლო რამდენისამე თემისა ან მთელის ოლქის საქმეები—საქართველოს ერობის ხელში.

II საერობო შემოსავალი.

22. საერობო შემოსავალს შეადგენს:

ა) შემოსავალი საერობო ქონებისა და თანხებისა.

ბ) ბაჟი, დადებული საერობო დაწესებულებათა სარგებლობისა და სამსახურისთვის;

გ) საერობო გადასახადი, გაწერილი საფაბრიკო, სამონასტრო, სასოფლო სამზოგადოებათა და კერძო მესაკუთრეთ მამულებზე, სამრეწველოებსა და საგაჭრობებზე;

დ) პროგრესიული საერობო გადასახადი, შემოსავლის კვალობაზე გაწერილი; ამ გადასახადს იხდის ყველა პირი რომელიც საერობო ოლქის საზღვრებში სცხოვრობს და რომლის შემოსავალიც წლიურად 300 მანეთზე ნაკლები არ არის.

ე) განსაზღვრული ნაწილი ყველა სახელმწიფო იმ შემოსავლისა, რომელიც ერთმევა საერობო ოლქის მცხოვრებთ პირდაპირ თუ არა პირდაპირ გადასახადის სახით.

ვ) ნაწილი იმ სახაზინო თუ კერძო რკინის გზების შემოსავლისა, რომელიც საერობო ოლქის მიწა-წყალზეა.

ზ) იმ საგაჭრო ნავთსადგურებზე გაწერილი გადასახადი, რომელიც საოლქო ერობის მიწა-წყალზეა და

თ) შემწეობა საზოგადოებათა და კერძო პირთაგან.

23. სახელმწიფო მიწები შიგ დამარხულ სიმდიდრით და ტყეებით გადადის საქართველოს საოლქო ერობის ხელში.

III საერობო დაწესებულებათა ტერიტორია.

24 საერობო დაწესებულებათა ტერიტორიად ითვლება: სოფლის საზოგადოება, თემი და ოლქი. სასოფლო და სათემო ტერიტორია შეიძლება შეცვლილ იქმნას.

25. საქართველოს საოლქო ერობას შეადგენს: ტფილისის და ქუთაისის გუბერნია, ბათუმისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები.

26. ამიერ-კავკასიის საერთო საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საოლქო ერობებს უფლება ეძლევათ შეთანხმდნენ ერთი-ერთ შორის და შეადგინონ კავშირები.

IV საერობო თვით-მმართველობის ორგანოები.

27 საერობო თვით-მმართველობის ორგანოებად ითვლებიან: საერობო კრებები, საერობო გამგეობები და სპეციალური კომისიები.

28. საერობო კრება შესდგება საერობო ხმოსნებისაგან იმნაირ თანასწორობით, ვისაც კრება ხმოსანთა შორის აირჩევს. საერობო კრებებს ხსნიან საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი.

29. სოფლის, თემის და ოლქის საერობო კრებების ხმოსნებს ირჩევენ სასოფლო საარჩევნო კრებებზე; ამასთან დაცული უნდა იქნას პრინციპი პროპორციონალურ წარმომადგენლობისა.

30. ხმოსნების რაოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენია მცხოვრები; სასოფლო კრებაში უნდა ითვლებოდეს 15—25, სათემოში 35—50 და საოლქოში 100—120 ხმოსანი.

31. სასოფლო საარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებად შეუძლიანთ იყვნენ სრულ-წლოვანნი ორივე სქესისა, რომელთაც ამა თუ იმ საოლქო ტერიტორიაზე ერთ წელიწადზე ნაკლები არ უცხოვრიათ.

32. საერობო გამგეობანი შესდგებიან თავმჯდომარეებისა და წევრებისაგან, რომელთაც ირჩევენ სათანადო კრებები; თავმჯდომარეებად და წევრებად არჩევა შეიძლება არა მარტო ხმოსნებისა, არამედ საერობო ოლქის ყველა ამომრჩევლისა.

შენიშვნა 1. საერობო გამგეობის წევრთა რიცხვი უნდა განსაზღვრონ სათანადო საერო კრებებმა.

შენიშვნა 2. ადმინისტრაციის მხრივ საჭირო არ არის იმათი დამტკიცება, ვისაც საერობო კრებები ამა თუ იმ თანამდებობაზე აირჩევენ; საჭირო არ არის აგრეთვე ერობის დანარჩენ მოსამსახურეთა დამტკიცება.

33. საერობო კრებებს შეუძლიანთ დანიშნონ განსაკუთრებული კომისიები (სასწავლო, სამკურნალო, საგზაო და სხვა).

34. ასეთ კომისიებში შედიან: საერობო გამგეობის წევრები და ხმოსნები საერობო კრებების არჩევით; წარმომადგენელნი ერობის დაქირავებულ მოსამსახურეებისა (მასწავლებლებისა, ექიმებისა, აგრონომებისა) ამ მოსამსახურეთა არჩევით; აგრეთვე კომისიების მიერ მოწვეული გარეშე მცოდნე პირნი. კომისიას ყველა წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

V საერობო დაწესებულებათა უფლებანი

35. საერობო კრებებს უფლება აქვთ გამოსცენ წიგნები, წიგნაკები, ჟურნალები და გაზეთები, რისთვისაც საჭირო არ არის წინ-წინვე ცენზურის დასტური.

36. საერობო კრებების დადგენილებით შეიძლება მოწვეულ იქნას საერობო მოღვაწეთა კრებები გარეშე მცოდნე პირთა მონაწილეობით.

37. საერობო კრებებს უფლება აქვთ იმ ფარგლებში, რაც მათ უწყებას შეეხება, გამოსცენ ადგილობრივ მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებანი, აგრეთვე უფლება აქვთ გამოსცენ წესდებები და ინსტრუქციები ხელქვეით უწყებათათვის.

38. ყველა საერო კრებებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ახალ კანონის გამოცემის შესახებ.

39. საერობო კრებებს უფლება აქვთ წინდაწინვე განიხილონ ყველა ის კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ საქართველოს შეეხება.

40. საერობო კრებებს უფლება აქვთ წარადგინონ დასაბუთებული მოსაზრებანი და შუამდგომლობანი ყველა იმ საგნების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მთელის იმპერიისა და ადგილობრივ კუთხისთვის და რომელთა გადაწყვეტაც ცენტრალურ წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლიან.

41 საერობო ორგანოებისა და იმის ხელქვეით დაწესებულებების ენათ ითვლება ქართული ენა; მაგრამ საერობო კრებებში და საერობო ორგანოების კერძო პირებთან მიწერ-მოწერის საქმეში ქართულ ენასთან ერთად სხვა ენებიც შეიძლება მიღებულ იქნან ყველგან, სადაც ამას ადგილობრივ მცხოვრებთა სხვა და სხვაობა მოითხოვს.

42. საერობო კრებების სავალდებულო დადგენილებანი და, საზოგადოდ, ყველა გვარი განკარგულება საერო თვით-მმართველობის ორგანოებისა, თუ საჭიროება მოითხოვს, სისრულეში მოჰყავს მილიციას, რომელიც სავსებით საერობო დაწესებულებათა ხელში გადადის.

VI. თვალყურის დევნება საერობო თვითმმართველობაზე.

43. საერობო დაწესებულებანი დამოუკიდებლად მოქმედებენ იმ საქმეებში, რომელიც მათ ექვემდებარება.

44. მთავრობა, ამიერ-კავკასიაში თავის უმაღლესს წარმომადგენლის სახით, თვალ-ყურს ადევნებს იმას, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებენ საერობო დაწესებულებანი.

45. ყველა დადგენილება სასოფლო, სათემო და საოლქო საერობო კრებებისა წარედგინება (ასლი დადგენილებისა) მთავრობის უმაღლესს წარმომადგენელს ამიერ-კავკასიაში.

46. საერობო კრებების დადგენილებანი კანონიერ ძალაში შედიან, თუ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი ქაღალდის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში თავის უთანხმოებას არ განაცხადებს.

47. თუ ვინიცობაა, უმაღლესი წარმომადგენელი უწყებს განაცხადებს საერობო კრების დადგენილების კანონიერებაზე, მაშინ კრება ხელახლა განიხილავს საქმეს და დაადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც კანონიერ ძალაში შედის.

რუსეთის ქრონიკა

ტუსაღთა გაქცევა სამატიმროდან. ტირასპოლის საპყრობილეში გამოუნგრევიათ კედელი და გაქცეულა ცხრა პატიმარი. გამოსასვლელ ადგილთან შეკრებილა და დაუპირებია გაპარვა სხვა ტუსაღს, მაგრამ გაქცეულ ტუსაღებს შორის ერთს ბოლოდან ტუსაღს მიუქცევია პოლიციის ყურადღება; შვიდი ამათგანი დაუჭერიათ და უკანვე დაუბრუნებიათ. ამათ დანახვაზე სხვებს საპყრობილეში ჩოჩქოლი და არეულობა მოუხდენიათ. მაგრამ დროზე მისულ ჯარის შემწეობით დაუმშვიდებიათ. („ს. ოტ.“).

საშინელი ცილის წამება რედაქციისადმი. „მოსკ. ვედ.“-ს მიმართულების გაზ. „დენ“-ში შემდეგი განცხადება და თავზეხელი ბრალდება მოთავსებული: „ყველასთვის იმართება თარაღთა საწყობები, „სინ ოტეჩესტვა“-ს თანამშრომლები უუმბარებს ამზადებენ, ზოგნ-კი გზავნის გულ-ხელ დაკრეფილნი და გელოდებით, როდის დაგვიწყებენ ხოცვა-ჟლეტასაო“. „ს. ოტ.“-ს თანამშრომლებს მოსკოვის ერთ ნაფიც ვექილისათვის დაუვალებიათ, „დენ“-ის რედაქტორი ბერკი ასეთ თავხედ ცილის წამებისთვის სამართალში მისცეს. („ს. ოტ.“).

საიდუმლო ხელშეკრულობა. ლონდონიდან აცნობებენ უცხოელ გაზეთებს: გარეშე საქმეთა სამინისტროში ცნობა აა მოსული, რომ რუსეთისა და გერმანიას უკვე შეუმუშავებიათ და ხელიც მოუწერიათ რაღაც საიდუმლო ხელშეკრულებაზე, რომელიც მთლიანად შორეულ აღმოსავლეთს შეეხება თურმე. („რაზ.“).

„მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს ახალი რედაქტორი“. ხმა დადის, რომ გრინგმუტი თავს ანებებს თურმე „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს რედაქტორობას. იმის მოადგილედ ასახელებენ ისტორიკოსს ილოვაისკის. („ს. ოტ.“).

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს წერილი დაბეჭდოთ.

გაზ. „მოგზაურში“ (№№ 30 და 32) და „ცნობის ფურცელში“ (№ 2829) მოთავსებულია წერილები ბ-ნთ ჩხიკვიშვილისა, ელიავასი, იაშვილისა და სახოკიასი. ამ წერილებში ისინი მეხებიან მე, როგორც სამედიატორო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, და ზოგიერთ კითხვებზე პასუხს თხოულობენ. სამწუხაროდ, ორ კვირაზე მეტია, ტფილისში არ ვყოფილვარ და ამიტომ ეს ჩემი პასუხი დამიგვიანდა.

„მოგზაურში“ ბ-ნნი ჩხიკვიშვილი, იაშვილი და ელიავა მოწმეების ჩვენების შესახებ მეკითხებიან და თხოულობენ ოქმების დამტკიცებასა და გამოქვეყნებას, მთხოვენ, რომ ჩემი აზრი გამოვსთქვა ბ-ნთ ჩხიკვიშვილისა და სახოკიას საქმის შესახებ, მთხოვენ აგრეთვე, რომ პასუხი გავსცე ბ-ნ ფირცხალავას „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ წერილის გამო. მოწმეების ჩვენების თაობაზე, ეს ორი დღეა, რაც ფო-

თიდან მომივიდა; ოქმი შემიძლია გადავსცე ტფილისში მყოფ მედიატორებს—ნიკო ელიავას და სამსონ ფირცხალავას, როდესაც ისინი მოისურვებენ. რაც შეეხება ჩემს აზრს ბ-ნთ სახოკიასა და ჩხიკვიშვილის საქმის თაობაზე, ამაზე შემდეგი უნდა მოვახსენო. მე, როგორც მედიატორს, შემეძლო ამ საქმეზედ ნამდვილი აზრი შემედგინა და მტკიცე რწმენა გამომეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საქმე დამთავრებულიყო, ყველა მოწმეებს დავკითხებოდით და მათი ჩვენება აგვეწონა. და რადგანაც საქმე არ დამთავრებულა, ამიტომ მე, როგორც მედიატორს, იმის შესახებ აზრი არ შემიდგენია, შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ ჩემის აზრით არავითარი სამარცხვინო ფაქტი არც ერთ მხრისათვის არ გამოაშკარავებულა.

„ცნობის ფურცელში“ ბ. სახოკია საყვედურს მეუბნება, ჯერ დაგვპირდი, საქმეს დავამთავრებთო, და შემდეგ-კი უარი სთქვიო. მართალია, მე ჩემდა თავად პირობა მივეცი ბ-ნ სახოკიას საქმის დამთავრებაზე; ეს იყო მაშინ, როდესაც სასამართლომ სხდომა დახურა მისგამო, რომ ზოგიერთებმა ერთ მოწმეთაგანს სიტყვა შეაწყვეტინეს და ფანჯრებიდან ოთახში შემოვარდნენ, მაგრამ მას შემდეგ მოხდა ის გარემოება, რომელმაც თავმჯდომარეობაზედ უარი მათქმევინა: მეორე მოწმეს შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებით და რომ ბ. სახოკია დროზე არ მიშველებოდა, შესაძლებელია, საქმე ცუდად ჩაიარდა. ამიტომ ბ. სახოკიას საყვედური უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

ნაფიცი ვექილი ვ. ა. [illegible]

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

6 სექტემბერი

ქუთაისი, 6 სექტემბერი. ქალაქის საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა 29 აგვისტოს ტფილისს მოკლულთა ხსენებას და კრება გადადო.

საბჭომ გადასწყვიტა გაგზავნოს მოსკოვს, ქალაქისა და ერობის მოღვაწეთა კრებაზე დასასწრებლად, ქალაქის მოურავი დავ. ლორთქიფანიძე.

ქუთაისს ჩამოიყვანეს ახალი ჯარები: სამი ბატალიონი კურის პოლკისა, ორი—ნავაგინისა და ერთი საარტილერიო ბატარეია თერგის ყაზახებისა.

ქუთაისი, 6 სექტემბერი. აბაშას მომავალ მატარებელში, 4 სექტემბერს, დააპატიმრეს 9 კაცი. სადგურზე დაპატიმრებულებმა აცნობეს ამბავი ბაზრობაზე შეკრებილ ხალხს, რომელმაც განთავისუფლებინა დაპატიმრებულნი. ხალხმა, კმაყოფილების ნიშნად, ჰაერში რევოლვერები დასცალა. მატარებელში მყოფ სალდათებმა ეს თავის თავზე მიიღეს და ხალხს ესროლეს. მოკლულია 8 კაცი, დაჭრილია ბევრი. აბაშაში გუბერნატორი მივიდა და საქმე თვითონ გამოიძია.

ქუთაისი, 6 სექტემბერი. სამაზრო საერობო წარმომადგენელთა თათბირზე სოფლების ცხრა წარმომადგენლებმა განიხილეს ოთხი მუხლი საზოგადო პრინციპიალური კითხვებისა; მიღებულ იქმნა გარდა ერთისა, რომლის შემდეგ კრება შესწყვიტეს და ხალხი დაიშალა.

პეტერბურგი. საგლეხო ბანკის მომავალ მოქმედებისთვის განზრახულია შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები: საჭიროდ იქნა ცნობილი, ბანკს მიეცეს დამოუკიდებლობა, როგორც, საკრედიტო დაწესებულებას. ის არ იქნება მთავარი იარაღი მთავრობის მიწის პოლიტიკისა.

ერობათა შუამდგომლობას სახალხო წიგნთსაცავთა კატალოგის გაფართოების შესახებ თანაგრძნობით მიეგებნენ სათანადო დაწესებულებანი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა სახალხო წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების წესების გადახედვას.

„სლოვო“ იუწყება, პროფესორთა შორის აზრი დაიბადა დაარსონ კავშირი სამეცნიერო-სასწავლო წიგნების გამოსაცემად.

„რუს“-ის აზრით, ბაქოში მომხდარი უკანასკნელი ამბები არაა მოულოდნელი სენატორ კუზმინსკისათვის. უკანასკნელმა წინ და წინ იცოდა, რომ ყველაფერი ეგრე მოხდებოდა.

„ნოვოე ვრემია“ ამბობს, ამ დღეებში გადაწყდება საკითხი უნივერსიტეტების ავტონომიის ყველა უმაღლეს სასწავლებლებზე გავრცელების შესახებო.

ეკონომიის დეპარტამენტისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ასახელებენ კოკოვცევსა და ყოფილ მინისტრს ერმოლოვს.

ფინანსთა მინისტრს 6 სექტემბერს შემდეგს წერილს წარუდგენს ნავთის მრეწველთა დეპუტაცია: საჭიროა დროებითი ნებართვა პეტერბურგის პორტით ქვა-ნახშირის უბაჟოთ გატანისა, დაუკლონ მოსკოვის რაიონის გზებზე ტარიფს დონეცის ნახშირზე, საჭიროა აგრეთვე ფართო კრედიტი მიეცესთ იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც მოისურვებენ ზამთრისთვის ქვანახშირით უზრუნველ-ჰყონ თავიანთი თავი და სხ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 სექტემბერი

სტამბოლი. გერმანიისა, ინგლისისა და რუსის ელჩებმა სულთანს მოსთხოვეს შემოიღოს მაკედონიაში საფინანსო კონტროლი. პორტამ აცნობა მათ, დანიშნულ ადგილას გაგზავნე საგანგებო კომისია, რომელიც ადგილობრივ შეიმუშავებს გასაუმჯობესებელ ზომებსო. ამ პასუხს ისე უცქერიან, როგორც ახალს ხრიკს საერთაშორისო კონტროლის შემოღების გადასადებად.

შანხაი. გამოაქვეყნეს ბრძანება, რომ მანჯურიის პორტები ღიაა ყველა ერთვნებათა გემებისთვის.—ადგილობრივ მთავრობას მოწერილობა მოუვიდა, ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას.

ვაშინგტონი. მეორე კონფერენციას აზრად შემდეგის საკითხების გარჩევა აქვს: უმავთულო ტელეგრაფისა, ნაღმებისა და წყლის ქვეშ მოსარულე ნავების ხმარება, აკრძალვა ჰაერის ბურთებიდან ასაფეთქებელ ნივთიერებათა გადმოგდებისა, სამხედრო გემების თავშესაფრის შესახებ და სხვა და სხვა საკითხები, გამოწვეული რუსეთ-იაპონიის ომის მიერ.

ნიუ-იორკი. იაპონიის მისიის იურისკონსულტი დენისონი ამბობს, იაპონიის მიერ აღებული კონცესიები 120 მილიონ მანეთზე მეტი ღირსო. რკინის გზების ფასი შეადგენს 30 მილიონ სტერლინგს, იანტაისა და ფუშუნის მაღაროები-კი 50 მილიონზე მეტი ღირსო. დენისონის აზრით, იაპონია ჩქარა შეუდგება სახალინის დაუმუშავებელ მინერალურ სიმდიდრის დამუშავებას.

ტოკიო. ჯავშნოსანი „საგამი“, ყოფილი „პერესვეტ“-ი, პორტ-არტურიდან იოკოსუკაში მოვიდა.

მიტავა. დროებით გენ.-გუბერნატორმა ნება დართო მემამულეებს, თავიანთ ხარჯზე გაიჩინონ შეიარაღებული მცველები, თვითო თვითეულ 50 დესეტინა მამულზე.

ნიუ-იორკი. როკფელერი არღვევს მაზე მიწერილს წინასწარმეტყველობას, ვითომც ამერიკის ვაჭრობაში კრიზისი დადგება ჩქარაო. იგი ამბობს, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა დიდს წარმატებას უქადის ვაჭრობასო.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით გაარჩია მოსკოვ-რიაზანსკის სადგურ დნოს დეპოს მუშათა საქმე, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ 10 თებერვალს გაფიცულ მუშებთან ერთად თავს დაესხნენ ტელეგრაფის სადგურს, გააძევეს ტელეგრაფისტები და დაჭრეს [illegible]. მათ 12—15 წლის კატორღა მოელოდათ. ყველანი გაამართლეს, რასაც ტაშის კვრით მიეგებნენ დამსწრენი.

სიმფეროპოლი. კერჩში დაიწყო ქდეტახოლევის საქმის გარჩევა. იმ პირთ, ვისაც ბრალი ედებოდათ განაძარცვა ქონებათა სეიდვაში; სასტიკად გადაუწყვიტეს სხვა და სხვა ვადით.

ბათუმი. ტყუილია ის ხმები, ვითომც ბათუმის ოლქის მაჰმადიანებში მღელვარება [illegible] ქრისტიანეთა წინააღმდეგ. ოლქში სრული სიმშვიდეა.

კოპენჰაგენი. ოფიციალურ ცნობას ნორვეგია-შვეციის შერიგებაზე დანია სრულის კმაყოფილებით მიეგება.

ლონდონი, 5 სექტემბერი. ვიტტე შერბურგში გადმოჯდა. იმის აზრით, იაპონიის მთავრობა ვერ დაუშლის ხელის მოწერას სამშვიდობო ხელშეკრულობაზე.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 სექტემბერი

რომი. ვეზუვი (ცეცხლ-მფშვინავი მთა) განაგრძობს გადმოდუღებულ ქვიშის ამოსროლას და გაისმის ქვესკნელში გრგვინვა. ლიპარის კუნძულებს ცეცხლის ალი აქვთ მოდებული, ძლიერი მღელვარებაა. ბევრი სახლი დაინგრა.

ყაზანი. დანიშნულია უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები. კანდიდატებათ ითვლებიან პროფესორი ვასილიევი, ლიუბიმოვი და შერშენევიჩი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 სექტემბერი.

ტოკიო. უცხოელი კაპიტალისტები ხალისით ათავსებენ თავიანთ კაპიტალებს იაპონიის მრეწველობის საქმეში. ელექტრონის საზოგადოებამ ტოკიოში და სამთო-სამრეწველომ და რკინის გზისამ ხოკაიდოში წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკებანი გარეშე სესხის შესახებ, რომელიც 300 მილიონ იენს შეიცავს.

სტოკჰოლმი. ნორვეგიაში გასულ კვირას საგერო ზომები მიიღეს. სადაო სიმაგრეებზე საზღვრებთან და თვით საზღვრებზე ახალს სიმაგრეებს აშენებენ. გლეხ-კაცობას მოუწოდეს ტყეები გასჩეხონ და გზები ჩახერგონ. საზღვრებისაკენ ჯარებს ურიან თავს ცენტრებიდან.

თეირანი. ვაჭრობის მინისტრი ამუშავებს პროექტს ნაციონალურ ბანკის დაარსების შესახებ, რომელსაც განყოფილებები ექნება სპარსეთის მთავარ ქალაქებში; ამ ბანკს რუსის სავაჭრო და გამსესხებელ ბანკთან ბრძოლა ექნება მიზნად. მცხოვრებლები აღელვებული არიან სომხების წინააღმდეგ ბაქოში უკანასკნელის შეტაკების გამო. სპარსელებს აუკრძალეს დროებით რუსეთში წასვლა. სპარსეთის ურმიაში, ლინგეს პორტში, დაიჭირეს თოფებისა და ანილინის საღებავის დიდი საწყობი, რომლების შემოტანა სპარსეთში აკრძალულია: როგორც პირველი, ისე მეორე ინგლისის კონტრაბანდა აღმოჩნდა. ქირმანის გენერალ-გუბერნატორი, სამეფო სახლის პრინცი, გადააყენეს არეულობის გამო. ეს არეულობა ამ ჟამად მოისპო.

ეკატერინბურგი. საერობო და საქალაქო გამგეობანი ადგენენ სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ წარმომადგენელთა სიას.

ნოვოროსიისკი. საოლქო თათბირი ერობაზე ყოველ დღე სწარმოებს და 10-მდე გასტანს. თათბირმა უარჰყო წოდებრივი და ცენზიანი ერობა და დაადგინა, მოითხოვოს წვრილი საერობო ერთეული, საგუბერნიო სათათბიროსთვის აირჩიოს მიწის წვრილი მესაკუთრენი. ნამესტნიკის საბჭოსათვის ერთ ხმად აირჩიეს შჩერბინა.

პეტერბურგი. ამას წინად იუწყეს, რომ რუზველტს განზრახვა აქვს მოიწვიოს მეორე სამშვიდობო კონფერენცია ჰააგაში. ეხლა გაიგეს, რომ ამგვარი მოწოდება სურს. დაუგზავნოს დიდს სახელმწიფოებს რუსეთის ხელმწიფეს და რუზველტი სულით და გულით თანაუგრძნობს მას, როგორც ინიციატორს პირველის კონფერენციისას.

გრაფ სოლსკის სათათბიროში შეიტანეს პროექტი მინისტრთა მოქმედების შეერთებისა. ამ პროექტში შემდეგი სურვილია გამოთქმული: 1. მინისტრთა საბჭოსა და კომიტეტის ადგილას დაარსდეს დაწესებულება, სახელად მინისტრთა საბჭო; 2. საბჭოს თავმჯდომარეობს ერთი მინისტრთაგანი და შესდგება დანარჩენ მინისტრებისა, მთავარ მმართველთაგან მიწათ-მოქმედებისა და სავაჭრო ზღვაოსნობისა, უწ. სინოდის ობერ-პროკურორისა და სახელმწიფო კონტროლიორისაგან; 3. ამ საბჭოში იქნება შეერთებული მთავრობის მოქმედებანი და გაირჩევა უმაღლეს მართვა-გამგეობის ზომები, რომელნიც უმაღლესად უნდა იქნან დამტკიცებული; 4. ცალკე მინისტრთა უფლება ხელმწიფისაგან, უქვეშევრდომილესის მოხსენების საშუალებით, უმაღლესის ბრძანების გამოთხოვაზე გაუქმებულ იქნება; ამ უფლებაში დარჩებიან მხოლოდ საიმპერატორო სასახლისა, სამხედრო, საზღვაო და გარეშე საქმეთა მინისტრები; 5. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საქმეა წარადგინოს უმაღლესად მინისტრებისა და ცალკე ნაწილების მმართველთა ადგილზე დასანიშნავი კანდიდატები გარდა შემდეგის უწყებებისა: საიმპერატორო სასახლისა, სამხედროსა, საზღვაოსა და გარეშე საქმეთა მინისტრებისა და სახელმწიფო სათათბიროსი.

ვლადივასტოკი. იაპონიის ადმირალმა კატოკამ გემებ „სუმა“-სა და „იძუმიტო“-დან 31 აგვისტოს ზარბაზნები დაუშინა პეტროპავლოვსკს. დაინგრა ზღვის კანდელების შენობები და სამაზრო სამმართველო. გაანადგურეს აგრეთვე თოფის წამლის საწყობები. ბევრი საქონელი დაჰხოცეს და ბევრი იარაღიც წაართვეს მცხოვრებთ. იაპონელებმა პორტში დაიჭირეს ამერიკის გემი „ავსტრალია“, დაქირავებული კამჩატკის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების მიერ. დაჭრილ-მოკლული არ არის.

6 სექტემბერი

პეტერბურგი. სოლსკის მიერ შემუშავებულ წესებით სათათბიროს დებულებაში შემდეგი დამატება-განმარტებანია შეტანილი: თუ ამომრჩევლები იშუამდგომლებენ, მათ ხაზინიდან მიეცემათ საგზაო ფული სამაზრო ქალაქებიდან საგუბერნიოში წასასვლელად საარჩევნო კრებებზე. თვითო ვერსტზე მიეცემათ თვითო შაური იქით და აქეთ. სათათბიროს წევრების არჩევნების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი ანგარიშს სწერს არჩევნების მსვლელობაზე და უმაღლესად წარადგენს კეთილ-განსახილველად. სათათბიროს მოწვევის დღეს იგივე მინისტრი ითხოვს უმაღლეს ბრძანებას. სათათბიროს მოწვევას ვერ შეაჩერებს ამორჩეულთა სიის გამოუცხადებლობა, სათათბიროს მოსაწვევ დღეს წევრები პეტერბურგს შეიკრიბებიან. სათათბიროს პირველ სხდომას გახსნის უმაღლესად რწმუნებული პირი. როცა წაკითხულ იქნება და წევრებისაგან ხელმოწერილი საჯარო აღთქმა, წევრები ირჩევენ სათათბიროს თავმჯდომარეს, რომელიც მოახსენებს ხელმწიფეს მეცადინეობის დაწყებას. მეცადინეობის გახსნის შემდეგ, სათათბირო ირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს, სათათბიროს მდივანს და მისს ამხანაგს და განმარტავს რიგს, შედგენილებას და სათათბიროს განყოფილებათა საწარმოო საგნებს.

პოლონეთისაგან სათათბიროში 36 წევრი იქნება გრ. სოლსკის შემუშავებულ პროექტით.

კავკასიისა და ციმბირის არჩევნების საკითხს მომავალ კვირის დასაწყისში გაარჩევენ.

ბელოსტოკი. ბელოსტოკს და მის მაზრაში ომიანობის დროის წესები გამოცხადდა.

ბაქო. მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა არ სწყდება.

პეტერბურგი. გაძლიერებული დაცვა ტაშკენტსა, სირდარიის, ფერგანისა და სამარყანდის ოლქებში 1906 წ. 10 სექტემბრამდე გასტანს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 აგვისტო 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	98,95
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,27
პარიზისაზე „	37,57
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	88
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	450
5% მე-2 შინ. სეს. მოგ. ბილ. 866 წ.	355
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	286
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	201

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზამ № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 სა 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობასთან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/3, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

იყიდება სახლი

ბანკის ვალით, ლიაზარევის ქ., სოლომინსკის პერ. № 27.

ჰკითხეთ სახლის პატრონს. (2—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანკის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—25)

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ

БУХАЛТИРСКІЙ КУРСЫ

Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,

автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій“, учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. спеціальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и специалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые дополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 744. Правила и программы высылаются безплатно. (10—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდებ. ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. გ. შვილისა—პოემა ბახნაძისა	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელით, მოთხრობა—მეღანისა	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუჩხულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოლტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 2
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 2
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. [illegible]	1

ტფილისის
აკეპარქიო
სიონის ტაძრის
გვერდით არი
საწყობი სა
საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყვე
ლა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხ
ნათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბა
რაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლე
კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შე
მოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთით
შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამო
ლი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და სა
ყობზეც. (0—2

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლა
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლდემაროვის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „